დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ლიკა გიორგაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრები:
თათული მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
მანანა სამხარაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნინო გულმაგარაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
თინათინ ბეგიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
თამარ თავშავაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
თემურ კურცხალია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ლია ცერცვაძე-ცუცქირიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ლალი აბულაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
გიორგი ბერიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
სალომე ცხვედიანი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248386802

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქედქედი
ფაქტობრივი მისამართი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქედქედი
საფოსტო ინდექსი	6400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	kedkedi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	557323551

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 6 მაისის ბრძანება №MES 1 25 0000493553
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 3 და 4 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი სახფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქედქედი
	ზოგადი განათლების საბაზო სახფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქედქედი
	ზოგადი განათლების საშუალო სახფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქედქედი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების რესურსების შესაბამისობა. პროცესი კეთილგანწყობილ, კონსტრუქციულ და თანამშრომლობით გარემოში წარიმართა. დაწესებულების თანამშრომლები ხელს უწყობდნენ ექსპერტთა ჯგუფს მუშაობაში. ვიზიტის დროს განხორციელდა დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება.
ვიზტის ფარგლებში გაიმართა გასაუბრებები დაწესებულების წარმომადგენლებთან, მათი კომპეტენციის სფეროების გათვალისწინებით.
ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი მიგნებების შესახებ.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 150	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრაა	**ხარვეზი**

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** ზოგადი საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**ხარვეზი**

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**ხარვეზი**

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
3.4.1. (2)	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ უზრუნველყოს სამედიცინო პერსონალის - ექიმი/ექთანი აყვანა.
3.5.1. (1)	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში სკოლამ უზრუნველყოს ზომების მიღება, რათა შენობა-ნაგებობის სრული ფართი აისახოს საჯარო რეესტრში.

1 გარდ მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N 2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში სკოლამ აიყვანოს მუსიკის და ფიზიკური აღრზდისა და სპორტის საგნების პედაგოგები, კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი №2.2.2(3). კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ინვენტარი, აღჭურვილობა და რექტივები.
ინდიკატორი N 2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში სკოლამ აიყვანოს ფიზიკის, ფიზიკური აღზრდისა და პორტის, მუსიკის და ისტორიის საგნების პედაგოგები, კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი №2.2.2(3). კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ინვენტარი, აღჭურვილობა და რექტივები.
ინდიკატორი N 2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში სკოლამ აიყვანოს ფიზიკის, ფიზიკური აღზრდისა და პორტის, მუსიკის და ისტორიის საგნების პედაგოგები, კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**რჩევა**
ინდიკატორი N 1.2.1. (2)	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, გადაიხედოს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები და შესწორდეს ტექნიკური უზუსტობები. კერძოდ: სტრატეგიული მიზანი ფორმულირებულია როგორც „სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება“, რომლის მისაღწევად დასახულ ამოცანასაც წარმოადგენს - „სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა“; სტრატეგიული მიზანი „სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული საკითხების განვითარება“ უფრო ამოცანას წარმოადგენს ვიდრე მიზანს.
ინდიკატორი N 1.2.1. (4)	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა: დაწესებულებამ სამოქმედო გეგმაში ინდიკატორების განსაზღვრისას აქცენტი გააკეთოს იმ რაოდენობრივ/ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, რომლის მიღწევაც სურს შესაბამისი მიმართულებით.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N... 3.1.1. (1)	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სკოლის ორგანოგრამაზე ნაცვლად „ადმინისტრაციისა“ მიეთითოს „დირექცია“, როგორც ამას ითვალისწინებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, საჯარო სკოლებისათვის; ასევე, შესწორდეს სუბორდინაციული დაქვემდებარებები.

ინდიკატორი № 3.1.2. (2)	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა	ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, დაწესებულებამ პერსონალის მართვის პოლიტიკით დამატებით განსაზღვროს დროებით არმყოფი თანამშრომლების ჩანაცვლების წესი.
ინდიკატორი № 3.1.2. (3)	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	ასევე, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, ადმინისტრაციული პერსონალის თანამდებობაზე აყვანისათვის გამოიკვეთოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები და პროცედურა.
3.3.1 (2)	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები	ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, დაწესებულებამ მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები ჩამოაყალიბოს P_D_C_A ციკლის შესაბამისად და განსაზღვროს თითოეული პროცესის დაგეგმვის ეტაპები, განხორციელების წესი, ხარისხის შემოწმების პროცედურა და განვითარების მექანიზმი.
ინდიკატორი № 3.4.1. (1).	სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა	ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
ინდიკატორი № 3.6.2. (1)	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, დაწესებულებამ საქმისწარმოების საკუთარი წესი და საკუთარი პრაქტიკა დაამთხვიოს ერთმანეთს.
ინდიკატორი № 3.4.1. (7)	სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები	სასურველია, სკოლამ მატერიალური სახით არსებული ინფორმაციის დასაცავად განსაზღვროს ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები.

სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N4.1.4 (1)	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის დოკუმენტის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე, პირველ კლასში რეგისტრირდება პირი რომელსაც 31 აგვისტომდე უსრულდება 6 წელი. აღნიშნული ვრცელდება როგორც საჯარო ასევე კერძო სკოლაზე. სწავლის დაწყების ასაკთან დაკავშირებით, <u>ამ ეტაპზე, გამონაკლისი არ დაიშვება.“</u> თუმცა, აღნიშნული დოკუმენტი არ ითვალისწინებს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის <u>**მუხლი 63³. 2014-2015 სასწავლო წელს ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკთან დაკავშირებული გამონაკლისი**</u>ს წესს, რომლის თანახმადაც 2014-2015 სასწავლო წელს ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების უფლება აქვთ აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც 2015 წლის 1 იანვრამდე შეუსრულდებათ 6 წელი ან რომლებიც 2013-2014 სასწავლო წელს სწავლობენ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სწავლის დაწყების მოსამზადებელ კლასში/განყოფილებაზე და 2014-2015 სასწავლო წლის დაწყებამდე მათი ასაკი 5 წელს აღემატება. მნიშვნელოვანია, სკოლის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ აისახოს შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაცია.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	**რჩევა**

2.1.1.2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის **დაწყებითი** საფეხურის პროგრამა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: დაწყებითი საფეხურის მე-4 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში წარმოდგენილია მე-6 კლასის სამიზნე ცნებები. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, ჩასწორდეს აღნიშნული ტექნიკური უზუსტობა.
ინდიკატორი N2.1.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს	ზოგადი განათლების **დაწყებითი საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	სასურველია, დაწყებით საფეხურზე შემავალი საგნების გაკვეთილების ჩატარებისას, სკოლამ უფრო აქტიურად გამოიყენოს ღია სივრცეები და ბუნებრივი გარემო.
ინდიკატორი N2.1.2.1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	ზოგადი განათლების **დაწყებითი საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ესთეტიკური აღზრდა: სასურვლია, რომ ორივე საგნის კურიკულუმებში დაწყებით და საბაზო საფეხურებზე ნაჩვენები იყოს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: სასურველია, რომ I და II კლასების კურიკულუმში მითითებული იქნას ყველა თემატური ბლოკი, ხოლო IV კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებები წარმოდგენილი იყო სრულად.

ინდიკატორი N2.1.2.1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	ზოგადი განათლების **დაწყებითი საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	უცხოური ენები: ინგლისური ენის 1-2 კლასების კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა შემოქმედებითი დავალებებისთვის შეივსოს ყველა სვეტი და მისაღწევი შედეგები, ცნებები გაიწეროს დავალებებთან მიმართებით (ზოგ შემთხვევაში მოცემულია). ინგლისური ენის მე-4 კლასის კურიკულუმში მისაღწევი შედეგები, ცნებები გაიწეროს ყველა წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებებისთვის. ბმული წარმოდგენილ რესურსებში, დავალების აღწერაში აღარ მუშაობს, გადაიხედოს, განახლდეს- **რესურსი 7**: <u>თვითშეფასების კითხვარი ზეპირი კომუნიკაციისთვის</u>. აგრეთვე ჩასწორდეს შეფასების სქემა რადგან არ შეესაბამება წარმოდგენილ შემოქმედებით დავალებას; მე-5 და მე-6 კლასების ინგლისური ენის კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებებისთვის უნდა შეივსოს ყველა სვეტი. მე-5 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალების საკითხი არ არის კურიკულუმში წარმოდგენილი დავალების იდეასთან შესაბამისი. შეფასების სქემები ზოგადია და რთულია მოსწავლის ცოდნის და უნარების შეფასება წარმოდგენილ დავალებებთან მიმართებით. მე-6 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალების აღწერა დანართის სახით არ არის კურიკულუმში გაწერილი. რუსული ენის მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმებში ჩასწორდეს ცნებები სტანდარტის შესაბამისად: **ტექსტი** (შედეგები: 1,2,3,4,5) **სამეტყველო ქმედება** (შედეგები: 3, 4, 5, 6) **ენობრივი საშუალებები** (შედეგები: 1,2,3,4,5,6) **კულტურათა დიალოგი** (შედეგები: 5, 6). ყველა წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებისთვის უნდა შეივსოს ყველა სვეტი

		მართებულად. ცნებები/ქვეცნებები ,მისაღწევი შედეგები უნდა გაიწეროს წარმოდგენილ დავალებებთან მიმართებით უფრო დეტალურად. წარმოდგენილი მიზნები და ცნებები ხშირ შემთხვევაში ზოგადია. მაგალითები შედარებისთვის ბუნდოვანია. წარმოდგენილი რესურსის-სახელმძღვანელოს გვერდები უნდა იყოს მითითებული თითოეული თავისთვის; აღნიშნულ კურიკულუმებში წარმოდგენილი შეფასების სქემები ზოგადია და რთულია მოსწავლის ცოდნის შეფასება წარმოდგენილი შემოქმედებით დავალებებთან მიმართებით. სქემები უნდა შემუშავდეს დავალებების შესაბამისად, შეფასების კომპონენტები და ინდიკატორები უნდა აღწერდეს შემოქმედებითი დავალების ფარგლებში მისაღწევ შედეგებს.
ინდიკატორი N2.1.2.1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	ზოგადი განათლების **საბაზო საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**უცხოური ენები:** საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ჩასწორდეს ცნებები ეროვნულ გეგმაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად-ზეპირი კომუნიკაცია(შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 8)**წერითი კომუნიკაცია** (შედეგები: 1, 2, 3, 6, 7, 8)**ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა** (შედეგები: 9, 10) ცნებები, მისაღწევი შედეგები წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებებისთვის ზოგადია. უნდა გაიწეროს დეტალურად და კონკრეტულად მოცემულ დავალებებთან მიმართებით. ერთი თავის ფარგლებში უნდა მუშავდებოდეს სტანდარტით განსაზღვრული ოთხივე შედეგი. მაგალითად: მე-7, მე-8 და მე-9 კლასის რუსული ენის კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების ცნებების ჩამონათვალში არსად არ მუშავდება ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა. რუსული ენის მე-9 კლასის კურიკულუმში სახელმძღვანელოს გვერდები უნდა დაემატოს თითოეული თავისთვის და დავალებისთვის; მაგალითები შედარებისთვის სვეტში წარმოდგენილი აღწერა ხშირ შემთხვევაში არ წარმოადგენს მაგალითებს. მაგალითად: მე-9 კლასის

		რუსული ენის კურიკულუმში მე-2 თავში, მაგალითი შედარებისთვის - "საუბარი თემაზე სილამაზე" არ წარმოადგენს მაგალითს. ინგლისური ენის მე-7 და მე-8 კლასების კურიკულუმებში ბმულები არ მუშაობს და ჩასასწორებელია. კურიკულუმებში წარმოდგენილი შეფასების სქემები ზოგადი ხასიათისაა და რთულია წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების მიხედვით მოსწავლის ცოდნის და უნარების შეფასება. უმჯობესი იქნება თუ შეფასების კომპონენტების აღწერა/ინდიკატორები უშუალოდ დავალებების საკითხებთან შესაბამისობაში იქნება მოცემული.
ინდიკატორი N2.1.2.1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	ზოგადი განათლების **საშუალო საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმებში უნდა შეივსოს ყველა კომპონენტი წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებებისთვის. ცნებები, მისაღწევი შედეგები არ არის გაწერილი ყველა წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებისთვის. დაკონკრეტდეს კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის. წარმოდგენილი მაგალითები ზოგ შემთხვევაში ბუნდოვანია. რესურსების ჩამონათვალი ზოგადი, უმეტეს შემთხვევაში მწირია. წარმოდგენილი ყველა შემოქმედებითი დავალებებისთვის და თემებისთვის უნდა იყოს მითითებული სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები. კარგი იქნება თუ კათედრა მრავალფეროვან რესურსებსაც დაურთავს. შეფასების სქემები წარმოდგენილია თუმცა არის ზოგადი. წარმოდგენილი შეფასების კომპონენტების მიხედვით რთულია დადგენა, თუ როგორ ხდება მოსწავლის ცოდნის და უნარების შეფასება კურიკულუმებში წარმოდგენილ შემოქმედებით დავალებებთან მიმართებით. კრიტერიუმები უნდა დაკონკრეტდეს დავალებებთან შესაბამისად.

2.1.2.2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	ზოგადი განათლების **დაწყებითი საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ესთეტიკური აღზრდა: კათედრის მიერ შემუშავებულ მუსიკის პირველი კლასის შემოქმედებით დავალებაში ნაკლებად ჩანს კავშირი სამიზნე ცნებასთან და ქვეცნებებთან. დავალება იმგვარად უნდა მოდიფიცირდეს, რომ ეს კავშირი უფრო მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი.
ინდიკატორი N2.1.2.3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	ზოგადი განათლების **დაწყებითი, საბაზო და საშუალო** საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები	მათემატიკა: გამომდინარე იქიდან, რომ კურიკულუმებში თემათა ნაწილს მითითებული აქვს დამატებითი რესურსი/რესურსები, სასურველია იმავე პრინციპით იხელმძღვანელოს იმ თემათა შემთხვევაშიც, სადაც დამატებითი რესურსი მწირია, ან საერთოდ არ არის მითითებული; მასწავლებელთა გამოცდილება და სკოლის ტექნიკური ბაზა იძლევა აღნიშნული რჩევის გათალისიწნების შესაძლებლობას.
ინდიკატორი N **2.1.2.3.**	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის **დაწყებითი, საბაზო და საშუალო** საფეხურების პროგრამები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია მომავალი სასწავლო წლისათვის გადაიხედოს ყველა ბმულისა და ჰიპერბმულის ავთენტურობა მათი ვალიდაციის მიზნით.

კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას		ბიოლოგია მე-11 კლასის კურიკულუმში მიეთითოს ძირითადი სახელმძღვანელო; რესურსების ველში მხოლოდ გვერდებია მითითებული. ასევე არ არის ძირითადი სახელმძღვანელო მითითებული მე-8 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში. მე-8 კლასის ქიმიის კურიკულუმში რესურსებში არის ე. წ „მაგალითი შედარებისთვის“, სავარაუდოდ ჰიპერლინკი, რომელიც არ იხსნება. მე-7 კლასის ფიზიკის კურიკულუმი წარმოდგენილია სხვა სკოლის სახელით. გასწორებული კურიკულუმი დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტებშიც არ იძებნება. დაწყებითი საფეხურის პირველი კლასის კურიკულუმშიც არ არის მითითებული სახელმძღვანელო, ასევე რესურსების ბმულები გასასწორებელია (ბევრჯერ დაკოპირებულია). მე-2 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმშიც არ არის სახელმძღვანელო მითითებული. ამავე დროს რესურსები მხოლოდ იმ თემებშია წარმოდგენილი, სადაც მუშავდება შუალედური პროდუქტი.
ინდიკატორი N2.1.2.3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებ	ზოგადი განათლების **საშუალო საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	სახელმწიფო ენა: შერჩეული სასწავლო რესურსები, ძირითადად დამხმარე, კიდევ უფრო გამდიდრდეს სხვადასხვა მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტებით.

ული სწავლის შედეგების მიღწევას		
ინდიკატორი N2.1.2.4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	ზოგადი განათლების **დაწყებითი, საბაზო და საშუალო** საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები	მათემატიკა: სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი დავალებების იდეა ყველგან ჩამოყალიბდეს მოკლედ, გამოკვეთონ შემოქმედებითი პროდუქტი და შესაძლებელი იყოს ამ პროდუქტების დიფერენცირება, მოსამზადებელი პროდუქტების არჩევა.
ინდიკატორი N **2.1.2.4.** მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის **დაწყებითი და საბაზო, საშუალო** საფეხურების პროგრამები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მე-2 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკა ნაწილობრივ მიემართება შემოქმედებით დავალებას. მესამე და მეოთხე კლასის კურიკულუმში შეფასების რუბრიკები ძალიან ზოგადია, არ მიესადაგება დავალების შინაარსს. მე-5 და მე-6 კლასების ბუნებისმეტყველების კურიკულუმებშიც არ არის წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები. სკოლას მიეცეს რჩევა, დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ბუნებისმეტყველება I - IV და V – VI კლასები) მიმართულების განმავითარებელი შეაფსების რუბრიკებში სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად.

		საბაზო საფეხურზე ქიმიასა და ფიზიკაში შეფასების რუბრიკები სასურველია გადამუშავდეს და შემოქმედებით დავალებაზე მეტად იყოს მორგებული, კონკრეტულ სამიზნე ცნებებს და მკვიდრ წარმოდგენებს მეტად მიემართებოდეს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გადამუშავებისას, სასურველია სკოლამ იხელმძღვანელოს ბიოლოგიის მე-8 კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებაზე "საციცოცხლო ცვლილებები" თემის, ადამიანის საყრდენ მამოძრავებელი სისტემის, ფარგლებში; ბიოლოგიის მე-9 კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნება „სტრუქტურა და გამრავლება" თემის, უჯრედის გამრავლების, ფარგლებში შექმნილი ნიმუშებით; ხოლო, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების გადამუშავებისას კი ქიმიის მე-12 კლასის კურიკულუმში ცნებაზე „ნივთიერება" თემის, პოლიმერების, ფარგლებში და იგივე კურიკულუმში განმსაზღვრელი რუბრიკა ცნებაზე „ნივთიერება" თემის, ჟანგვადშემცველი ორგანული ნაერთების/ სპირტების ფაერგლებში შექმნილი მაგალითით. სკოლას ეძლევა რჩევა შუალედური დავალების შეფასების რუბრიკების ნაწილი გადაამუშავოს იმგვარად, რომ მეტად დაზუსტებული იყოს კონკრეტული შემოქმედებითი/კომპლექსური დავალების თემატიკა, სამიზნე ცნება.
ინდიკატორი N2.1.2.4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს	ზოგადი განათლების **დაწყებითი და საბაზო** საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები	სახელმწიფო ენა: დიფერენცირებული სწავლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, შემუშავდეს დავალებათა მენიუ სხვადასხვა სირთულის სავარჯიშოებით და, ასევე, შეთავაზებული იყოს იმ ტიპის კომპლექსური ხასიათის დავალებები, რომლებზე მუშაობაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს საბოლოო პროდუქტი წარმოადგინონ მათთვის ხელსაყრელი, შესაძლებელი ფორმით (მაგ.: ზოგი დაწერს, ზოგი ციფრული ტექნიკით ააწყობს, ზოგიც - ზეპირად წარმოადგენს ან სხვ.)

დიფერენცირებულ მიდგომებს		
ინდიკატორი N2.1.2.5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ზოგადი განათლების **დაწყებითი, საბაზო და საშუალო** საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები	ესთეტიკური აღზრდა: შეფასების რუბრიკების ნაწილი ემყარება სამიზნე ცნებებს, ნაწილი კი უფრო ზოგადი ხასიათისაა (ეს უკანასკნელი შეფასება განსაკუთრებით ეხება პროექტული სწავლების შეფასების რუბრიკებს). სასურველია, სამივე საფეხურზე, მომავალში კათედრა მთლიანად გადავიდეს ისეთ შეფასების რუბრიკებზე, რომლებიც დამყარებული იქნება მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გააზრებაზე.
ინდიკატორი N2.2.1.1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	ზოგადი განათლების **დაწყებითი, საბაზო და საშუალო** საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები	მათემატიკა: სასურველია კურიკულუმებში ასახული ზოგიერთი შემოქმედებითი პროდუქტის აღწერილობის მოდიფიცირება იმგვარად, რომ კურიკულუმი ითვალისწინებდეს სასწავლო აქტივობებს.

ინდიკატორი N2.2.1.1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	ზოგადი განათლების **საბაზო საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ესთეტიკური აღზრდა: მუსიკის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალებები თითქმის ყველა საკითხისთვის, რომელთა განხორციელებაც 8-10 გაკვეთილს მაინც მოითხოვს. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ვერ შეძლეს ყველა დაგეგმილი შემოქმედებითი დავალების შესრულება. სასურველია, რომ მუსიკის კურიკულუმებში წარმოდგენილი იქნას შემოქმედებითი დავალების მხოლოდ ის რაოდენობა, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია ერთი სასწავლო წლის განმავლობაში. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია რამდენიმე ტიპის სადიაგნოსტიკო და შემაჯამებელი დავალება. მათგან გამორჩეულია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მე-7 კლასის სადიაგნოსტიკო ტესტი, რომელიც ამოწმებს მოსწავლეთა უნარს დააკავშირონ, განიხილონ და გაანალიზონ დავალებაში მოცემული საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. დავალება დეკლარატიულ ცოდნასთან ერთად მაღალ სააზროვნო უნარებსაც ამოწმებს. ამავე დროს, კათედრის დოკუმენტაციაში მოცემული ტესტების უმრავლესობა (ორივე საგანში) ამოწმებს ისეთ ფაქტობრივ ცოდნას, რომელიც არ უკავშირდება სამიზნე ცნებებს (მაგ. „რა არის მადრიდის სიმბოლო?, რა არის დამბა?“ - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მე-6 კლასი; „რა არის ჰიდრავლოსი? რომელია ჯ. ვერდის ოპერა?“- მუსიკა მე-7 კლასი). ამ ტიპის დავალებებზე დაყრდნობით რთულია იმის განსაზღვრა, თუ როგორ გაითავისეს მოსწავლეებმა სამიზნე ცნებები თემატურ კონტექსტში. შესაბამისად, კურიკულუმის მოდიფიცირებისას ასეთ დავალებებზე დაყრდნობა ნაკლებად პროდუქტიული იქნება. იმის გათვალისწინებით, რომ კათედრას გააჩნია მოსწავლის ცოდნის შემოწმების ვალიდური მექანიზმი ზემოთ აღნიშნული სადიაგნოსტიკო ტესტის სახით, სასურველია, მომავალში შექმნილი სადიაგნოსტიკო და ტესტური სამუშაოებისთვის სწორედ ამ ტიპის დავალებები იყოს გამოყენებული. ასე

		შეიქმნება სანდო მექანიზმები მოსწავლეთა ცოდნისა და საჭიროებების გამოსავლენად, რის საფუძველზეც მოხდება კურიკულუმების მოდიფიცირება.
ინდიკატორი N2.2.1.3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	ზოგადი განათლების **საბაზო და საშუალო** საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურისთვის, მოსწავლეთა თვითრეფლექსიის ფორმის შემუშავება, რაც დაეხმარებოდათ მათ თვითრეფლექსიის განხორციელებაში, რომ პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარი სწავლა-სწავლების პროცესის შედეგებზე.
ინდიკატორი N2.2.1.3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	ზოგადი განათლების **დაწყებითი, საბაზო და საშუალო** საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები	ესთეტიკური აღზრდა: სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს, რომ შეფასების რუბრიკები მომავალში უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა თემის შემაჯამებელ ან შემოქმედებით დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში.
ინდიკატორი N 2.2.2.1 შეფასების სისტემა არის ვალიდური,	ზოგადი განათლების **დაწყებითი საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხურის ექსპერტი: კარგი იქნება თუ სკოლაში ინტენსიურად იმუშავებენ კათედრები შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს.

გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი		
ინდიკატორი N2.2.2.1 შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	ზოგადი განათლების **დაწყებითი საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ესთეტიკური აღზრდა: მუსიკის კურიკულუმებში მიეთითოს დამხმარე (სამისნისტროს) მასალების ლინკები. მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებამ გამოიწვია გარკვეული გამოწვევები მუსიკის კურიკულუმში. კერძოდ: III კლასში ძირითად რესურსად ესთეტიკის კათედრის ოქმშიც და კურიკულუმშიც მითითებულია გამომცემლობა „წყაროსთვალის“ სახელმძღვანელო, რომელიც არ არის გრიფირებული. IV კლასის კურიკულუმში არის შეუსაბამობა - კურიკულუმში მითითებულია გამომცემლობა „ზენას“ სახელმძღვანელო, მაშინ როდესაც კათედრის მიერ დამტკიცებულ ჩამონათვალში მოცემულია „წყაროსთვალის“ სახელმძღვანელო, მე-6 კლასის კურიკულუმში კი საერთოდ არაა მითითებული სახელმძღვანელო. სასურველია, კურიკულუმში მითითებული იქნას გრიფირებული სახელმძღვანელოები, ხოლო III კლასში „წყაროსთვალის“ სახელმძღვანელო ჩაითვალოს დამხმარე რესურსად. ასევე სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ყველა კურიკულუმში ნაჩვენები იყოს სახელმძღვანელოს გვერდები თემების შესაბამისად.
ინდიკატორი N2.2.2.1 შეფასების სისტემა არის ვალიდური,	ზოგადი განათლების **საბაზო საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ესთეტიკური აღზრდა: მუსიკის კურიკულუმებში მიეთითოს დამხმარე (სამინისტროს) მასალების ლინკები.

გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი		
ინდიკატორი 2.2.1.4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	ზოგადი განათლების **დაწყებითი, საბაზო და საშუალო** საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები	სასურველია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმში დეტალურად აღიწეროს ვერიფიკაციის პროცესი/წესი.
ინდიკატორი 2.3.2.3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	ზოგადი განათლების **დაწყებითი, საბაზო და საშუალო** საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები	სასურველია, სკოლამ განახორციელოს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასების პროცესის საფუძვლიანი ანალიზი, შესაბამისი სტრუქტურებისა და პასუხისმგებელი პირების როლებისა და პასუხისმგებლობების მკაფიოდ განსაზღვრის გზით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფუნქციების დუბლირება და მონიტორინგისა და შეფასების პროცესი წარმართოს რესურსების გონივრული გამოყენებით. ასეთი მიდგომა სკოლას მისცემს შესაძლებლობას, შეფასების პროცესი გახადოს უფრო მოქნილი და შედეგზე ორიენტირებული.
ინდიკატორი 2.4.1.1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის	ზოგადი განათლების **დაწყებითი, საბაზო და საშუალო** საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები	სასურველია, კურიკულუმის გადამუშავების ანგარიშის არსებული ფორმა გადამუშავდეს და მიეცეს მკაფიო სტრუქტურა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროცესის სიზუსტე და გამჭვირვალობა. დოკუმენტისთვის რეკომენდირებულის შემდეგი სტრუქტურა: • შესავალი – გადამუშავების მიზანი და მოკლე კონტექსტი

სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი		• მეთოდოლოგია – გამოყენებული მონაცემები და ანალიზის მეთოდები • ძირითადი ცვლილებები – შინაარსობრივი, სტრუქტურული და მეთოდური ცვლილებები • მიზეზები – ცვლილებების საჭიროების საფუძვლები • მოსალოდნელი შედეგები – ცვლილებების გავლენა სწავლა-სწავლების ხარისხზე • რეკომენდაციები – შემდგომი განვითარების მიმართულებები ამგვარი სტრუქტურა ხელს შეუწყობს სტრატეგიული დაგეგმვის გამარტივებას, მხარეთა შორის ეფექტიან კომუნიკაციას და ცვლილებების მიზნობრივ შეფასებას. ასევე ქმნის საფუძველს პროგრესის მონიტორინგისა და სხვადასხვა დროის პერიოდებში მიღწეული შედეგების შედარებისთვის.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

1. საავტორიზაციო განაცხადით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო, რომელსაც წარედგინება შესრულებული ანგარიშგებები სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებისაგან. პარალელურად წარმოდგენილი იყო სკოლის დირექტორის 2025 წლის 20 იანვრის ბრძანება №6 სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელსაც ასევე

ჰქონდა დაკისრებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა ხარვეზი. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის გეგმა, რომლითაც დგინდება, რომ დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება, ფუნქციები დარჩეს სამეურვეო საბჭოს და გაუქმდა დირექტორის 2025 წლის 20 იანვრის №6 ბრძანება. წარმოდგენილია შესაბამისი მტკიცებულებები. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ № 1.2.2. (2) სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საავტორიზაციო განაცხადით წარმოდგენილ ორგანოგრამასა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების ამსახველ დოკუმენტში იყო ტექნიკური სხვაობები. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებდა ადმინისტრატორის თანამდებობას, თუმცა, ასეთი თანამდებობა არ იყო გათვალისწინებული ორგანოგრამით და არც ჰყავდა სკოლას შესაბამისი თანამშრომელი. თავის მხრივ, ორგანიზაციის სტრუქტურა ითვალისწინებდა სკოლის დირექტორის მოადგილის თანამდებობას, თუმცა, დოკუმენტში არ იყო განსაზღვრული შესაბამისი თანამდებობის პირის ფუნქცია-მოვალეობები. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო ტექნიკური უზუსტობების გასწორება, შესაბამისად, სტანდარტის № 3.1.1. (1) ინდიკატორთან დაკავშირებით დაწესებულება შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თანამშრომელთა ფუნქციების მარეგულირებელ დოკუმენტში მითითებული იყო, რომ სკოლის ექიმს ნიშნავს და ათავისუფლებს სკოლის დირექტორი, თუმცა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 22 მარტის №№41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტის“ შესაბამისად, აღნიშნული წარმოადგენს სპეციალური კომისიის კომპეტენციას (მუხლი 7). შესაბამისობის გეგმით და თანდართული მტკიცებულებებით დგინდება, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო უზუსტობის გასწორება. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დაწესებულება № 3.1.2. (3) ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

4. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული და დამტკიცებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერები. შესაბამისობის გეგმასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა დამატებით შემუშავებულიდოკუმენტი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტანდარტის №3.3.1 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, თუმცა, დამატებით

გაიცა რჩევა, მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები ჩამოაყალიბოს P_D_C_A ციკლის შესაბამისად და განსაზღვროს თითოეული პროცესის დაგეგმვის ეტაპები, განხორციელების წესი, ხარისხის შემოწმების პროცედურა და განვითარების მექანიზმი.

5. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ პირი, რომელიც სკოლაში განსაზღვრული იყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირად, დასაქმებულია სკოლაში როგორც მასწავლებელი. ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ აღნიშნული გაკრვეულწილად ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ დოკუმენტით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დაწესებულება საათობრივი დატვირთვის განსაზღვრისას გაითვალისწინებს უფლებამოსული პირის ფუნქციურ დატვირთვას და უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ დოკუმენტით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილებას.
ასევე, სტანდარტის ამავე ინდიკატორთან დაკავშირებით გამოიკვეთა, რომ სკოლის ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა სრულად ვერ ფარავდა შენობის გარე პერიმეტს. დაწესებულებამ წარმოადგინა დამატებით 6 ვიდეო კამერის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით სტანდარტის № 3.4.1 (3) ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია

6. დაწესებულების ახალი შენობა-ნაგებობის სრული ფართი არ არის ასახული საჯარო რეესტრში. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ფართის ასახვა მოხდება 2026 წლის 7 ივლისამდე პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან სტანდარტის № 3.5.1. (1) ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულება შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სკოლის მისიაა:

- ✓ დაამკვიდროს ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული უსაფრთხო, ინოვაციური და ინკლუზიური სასწავლო გარემო;
- ✓ შესძინოს მოსწავლეებს 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების გამომუშავების, თვითრეალიზაციისათვის საჭირო ცოდნა და ცნობიერება;
- ✓ აღმოაჩინოს თითოეულ მოსწავლეში შემოქმედებითი, ინტელექტუალური და ფიზიკური უნიკალური შესაძლებლობები, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების ინტეგრირებით;
- ✓ იზრუნოს მოსწავლეთა კონტინგენტის და სკოლის ცნობადობის ზრდაზე, სასკოლო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობით.

სკოლის მისიის განაცხადი, ზემოთ მითითებული აქცენტებით, შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2024 წლის 12 ივნისის N4261-XIVმს-Xმპ დადგენილებით დამტკიცებულ „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დოკუმენტში გაცხადებულ ღირებულებებს. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლის მისია აქცენტს აკეთებს უსაფრთხო, ინოვაციური და იკლუზიური სასწავლო გარემოს განვითარებაზე, მოსწავლეებში 21 საუკუნის უნარების განვითარებაზე, მათი შემოქმედებითი, ინტელექტუალური და ფიზიკური უნიკალური შესაძლებლობების აღმოჩენაზე. ამასთან, სკოლის ხედვაა, 2031 წლისათვის იყოს აჭარის რეგიონის მასშტაბით მაღალი ნდობისა და აღიარების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის კერა, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე მიდგომებზე დაფუძნებული ხარისხიანი განათლების დანერგვას, მოსწავლეთა თვითრეალიზაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების დაუფლებას. აქცენტი კეთდება თანამშრომლობით და უსაფრთხო სასწავლო გარემოზე, სადაც საზოგადოების თითოეული წევრი მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებსა და შესაძლებლობებს, განავითარონ საკუთარი მისწრაფებები. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სასკოლო საზოგადოების (თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები) ჩართულობით არის შემუშავებული. შემუშავების პროცესზე პასუხისმგებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც წარმოდგენილები არიან სკოლის თანამშრომლები და ასევე, მშობელთა წარმომადგენელი. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში არ ყოფილან ჩართულები მოსწავლეები, თუმცა, სკოლამ წარმოადგინა ფილოსოფიის ჩამოყალიბებისა და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, აღენიშნათ მიმართულებები, რომლებიც სკოლის საქმიანობის ძირითად მიზნად მიაჩნიათ, წარმოედგინათ მოსაზრებები, თუ როგორ ხედავენ სკოლის მისიას, წარმოედგინათ კონკრეტული წინადადებები მისიის განაცხადში საჭირო აქცენტების გაკეთების შესახებ, გამოეთქვათ მოსაზრებები ორგანიზაციის ღირებულებების შესახებ. მისიისა და ხედვის განაცხადი, ასევე, ორგანიზაციის ღირებულებები წარდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე, ასევე, სასკოლო საზოგადოების წევრების წინაშე. <u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მისიის და ხედვის გაზიარება უზრუნველყოფილია მათი შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების მონაწილეობით, სამუშაო ჯგუფის მუშაობის, მოსწავლეთა გამოკითხვის, კოლეგიური ორგანოების მხრიდან მისი განხილვისა და გაზიარების გზით. <u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ასახულია სკოლის გრძელვადიან სტრატეგიაში, განთავსებულია სკოლის გვერდზე (სკოლის გვერდი ვებგვერდზე: skolebi.emis.ge), ასევე, დასტურდება მისი გაცნობა უშუალო კომუნიკაციის გზით სასკოლო საზოგადოების წევრებთან. <u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერმინს - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა. <u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 3 სექტემბრის №14 ბრძანებით.

მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითადი ეტაპები და პროცესში ჩართული მხარეები, ასევე განსაზღვრულია სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების მექანიზმები, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები.

პროცესის დაგეგმვის პრინციპებია:

თანამონაწილეობა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას, პროცესის სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვის გზით;

სასკოლო საზოგადოების წევრების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, პროცესში მათი უშუალო ჩართვის გზით, სამიზნე ჯგუფების გამოკითხვების მეშვეობით და ასევე, მათთვის სამუშაო დოკუმენტების პროექტების გაზიარების და მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობის მიცემის გზით;

გამჭვირვალობა, რაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის სამუშაო პროცესის და შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით;

ანგარიშვალდებულება - რაც უზრუნველყოფილია შესრულების ანგარიშების დაინტერესებული საზოგადოებისათვის გაზიარების გზით.

<u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სტრატეგიული გეგმა მოიცავს 2024 წლის სექტემბრიდან -2031 წლის აგვისტოს ჩათვლით პერიოდს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გრძელვადიანი სტრატეგია დაფუძნებულია სკოლის მისიისა და ხედვის განაცხადსა და ორგანიზაციის ღირებულებებზე, ასევე, SWOT ანალიზზე. დაწესებულების მიერ განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები თავსებადია დაწესებულების მისიასთან. სტრატეგიული დაგეგმვის ვადით დაგეგმილია მუშაობა შემდეგი მიმართულებებით:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული საკითხების განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება შენარჩუნება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერა;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- არაფორმალური განათლების გაძლიერება.

ამოცანები უკავშირდება მიზნებს, <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u> **ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, გადაიხედოს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები და შესწორდეს ტექნიკური უზუსტობები. კერძოდ:**

სტრატეგიული მიზანი ფორმულირებულია როგორც „სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება“, რომლის მისაღწევად დასახულ ამოცანასაც წარმოადგენს - „სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა“;

სტრატეგიული მიზანი „სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული საკითხების განვითარება“ უფრო ამოცანას წარმოადგენს ვიდრე მიზანს.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სამოქმედო გეგმა მოიცავს ერთწლიან პერიოდს (2024-2025 სასწავლო წელი). სამოქმედო გეგმა სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად არის დაგეგმილი და გამოკვეთილია სკოლის შეფასებით მისთვის აქტუალური საკითხები. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, ამოცანების შესაბამის აქტივობებს, ვადებს ამოცანების შესრულებისათვის, ასევე, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებს და რესურსებს (სამოქმედო გეგმის შესრულება დაგეგმილია ორგანიზაციის შიდა რესურსებით). გეგმა ასევე მოიცავს შესრულების ინდიკატორების შესახებ ინფორმაციას. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u> ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა: დაწესებულებამ გადახედოს სამოქმედო გეგმას და ინდიკატორების განსაზღვრისას აქცენტი გააკეთოს იმ რაოდენობრივ/ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, რომლის მიღწევაც სურს შესაბამისი მიმართულებით, დაგეგმილი პერიოდის მანძილზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2024 წლის 3 სექტემბრის №1 ბრძანება „სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- სსიპ - ქედქედის საჯარო სკოლის პედაგოგებისათვის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების გაცნობის ოქმი (2024 წლის 10 სექტემბერი);
- სტრატეგიული დოკუმენტების გაცნობის მიზნით ორგანიზებულ შეხვედრაზე მშობელთა მოწვევის ბარათები და ე.წ. ჰენდაუთი;

- სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის 2024 წლის 10 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ქედქედის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 2 სექტემბრის სხდომის ოქმი №1;
- სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები;
- სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგები;
- სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 3 სექტემბრის №14 ბრძანება სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები ასახულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 3 სექტემბრის №**14** ბრძანებით დამტკიცებულ „სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში“.

სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი, მეთოდოლოგიის შესაბამისად, განხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ითვალისწინებს სამოქმედო გეგმის და სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგს, მათ შორის, გათვალისწინებულია

შუალედური მონიტორინგის მექანიზმიც. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შუალედური მონიტორინგი უნდა განხორციელდეს პერიოდულად, ასევე, საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ, ხოლო სტრატეგიული განვითარების გეგმის - 7 წლის შესრულებისთანავე, შუალედურად კი - მესამე წლის ბოლოს. საავტორიზაციო განაცხადით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო, რომელსაც წარედგინება შესრულებული ანგარიშგებები სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებისაგან. პარალელურად წარმოდგენილი იყო სკოლის დირექტორის 2025 წლის 20 იანვრის ბრძანება №6 სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელსაც ასევე ჰქონდა დაკისრებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა ხარვეზი. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის გეგმა, რომლითაც დგინდება, რომ დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება, ფუნქციები დარჩეს სამეურვეო საბჭოს და გაუქმდა დირექტორის 2025 წლის 20 იანვრის №6 ბრძანება. წარმოდგენილია შესაბამისი მტკიცებულებები. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ № 1.2.2. (2) **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების ანგარიშები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, უნდა განთავსდეს სკოლის ვებ-გვერდზე. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშში ასახული ინფორმაცია, როგორც ეს განსაზღვრულია სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტში, გამოყენებული უნდა იქნეს მომდევნო სტრატეგიული დაგეგმვის ციკლის და სკოლის განვითარების მიზნით, შესაძლოა, გამოყენებული იქნეს ასევე, სამოქმედო/სტრატეგიული განვითარების გეგმის ცვლილების მიზნით. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 3 სექტემბრის №14 ბრძანება სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 20 იანვრის №6 ბრძანება სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

შეფასება:

- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

დაწესებულებას შეუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს თითოეული სტრუქტურული ერთეულის/პირის ფუნქცია-მოვალეობებს. სკოლას საავტორიზაციო განაცხადით ასევე წარმოდგენილი აქვს ორგანოგრამა. საავტორიზაციო განაცხადით წარმოდგენილ ორგანოგრამასა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების ამსახველ დოკუმენტში იყო ტექნიკური სხვაობები. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებდა ადმინისტრატორის თანამდებობას, თუმცა, ასეთი თანამდებობა არ იყო გათვალისწინებული ორგანოგრამით და არც ჰყავდა სკოლას შესაბამისი თანამშრომელი. თავის მხრივ, ორგანიზაციის სტრუქტურა ითვალისწინებდა სკოლის დირექტორის მოადგილის თანამდებობას, თუმცა, დოკუმენტში არ იყო განსაზღვრული შესაბამისი თანამდებობის პირის ფუნქცია-

მოვალეობები. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო ტექნიკური უზუსტობების გასწორება, შესაბამისად, სტანდარტის № 3.1.1. (1) **ინდიკატორთან დაკავშირებით დაწესებულება შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სკოლის სტურტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან, ასევე, სხვა კანონქვემდებარე აქტებთან. მთლიანობაში, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის განაწილებული ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრულ ვალდებულებებს, ამდენად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **<u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ორგანოგრამა;
- სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 თებერვლის N 15 ბრძანებით დამტკიცებული “სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები“;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მოპოვებული მონაცემები;
- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 თებერვლის №16 ბრძანებით დამტკიცებულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელიც მიზნად ისახავს სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და

ამოცანების მიღწევის ხელშეწყობას, დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენას და რეალიზებას, დასაქმებული პირების შესაძლებლობების რეალიზებას და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, ასევე, წარმოდგენილია თანამშრომელთა წახალისების მიზნით გამოცემული ბრძანებები. სკოლის რეგულაციები შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე, დადასტურდება მისი გამოყენება სკოლის პრაქტიკაში. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 თებერვლის №16 ბრძანებით დამტკიცებულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, არეგულირებს სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის ციკლს:

- ორგანიზება/დაგეგმვა - აერთიანებს ორგანიზაციული განვითარების, საკადრო პოლიტიკის შემუშავებისა და თანამშრომელთათვის პერსონალის სამუშაო აღწერილობის შემუშავება/განახლების პროცესებს;
- ორგანიზაციაში შემოსვლა - აერთიანებს კადრების მოზიდვის, შერჩევის და ორგანიზაციაში სოციალიზაციის პროცესებს;
- სამუშაოს მართვა - აერთიანებს შეფასების, დისციპლინარული სასჯელისა და წახალისების პროცესებს;
- ორგანიზაციიდან გასვლა - აერთიანებს ხელშეკრულების შეწყვეტა.

სკოლას ასევე შემუშავებული აქვს იერარქიული სტრუქტურა და თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციები (სამუშაო აღწერილობები). **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, დაწესებულებამ პერსონალის მართვის პოლიტიკით ასევე განსაზღვროს დროებით არმყოფი თანამშრომლების ჩანაცვლების წესი.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ განსაზღვრავს სკოლაში დასაქმების პირობებს. კერძოდ, თანამშრომელთა შერჩევის პროცესი უნდა იყოს ობიექტური, პროცედურები - არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამორიცხავდეს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას; გამჭვირვალე - გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები ნათლად ფორმულირებული და გასაგები და აღქმადი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის; მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცედურის მეშვეობით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კვალიფიციური და პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა და შერჩევა. დღეისათვის სკოლაში დასაქმებულია 30 თანამშრომელი, პირად საქმეებში წარმოდგენილია კანონმდებლობით მოთხოვნილი ცნობები ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშანულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ.

ვაკანტურ პოზიციაზე კადრის აყვანა პოლიტიკის მიხედვით, უნდა განხორციელდეს სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით.
ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლაში მასწავლებლის აყვანის წესი და პროცედურა, რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „მასწავლებლის სამიქნობის დაწყებისა და შეწყვეტის წესს“.
სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის აყვანის შესახებ ინფორმაცია მითითებულია სკოლის პერსონალის ფუნქციების მარეგულირებელ დოკუმენტში, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თანამშრომელთა ფუნქციების მარეგულირებელ დოკუმენტში მითითებული იყო, რომ სკოლის ექიმს ნიშნავს და ათავისუფლებს სკოლის დირექტორი, თუმცა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 22 მარტის №№41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტის“ შესაბამისად, აღნიშნული წარმოადგენს სპეციალური კომისიის კომპეტენციას (მუხლი 7). შესაბამისობის გეგმით და თანდართული მტკიცებულებებით დგინდება, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო უზუსტობის გასწორება. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დაწესებულება № 3.1.2. (3) ინ**დიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს
სკოლაში დასაქმებულია 30 პირი. ადმინისტრაციული პერსონალი სამუშაოზე აყვანილია კანონმდებლობის შესაბამისად, თითოეულ მათგანთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს
სკოლაში ადამიანური რესურსების მართვა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფილია თანამშრომელთა სამუშაო ჯგუფების წევრობით, პერსონალის სამუშაოს შეფასების პროცესში კოლეგების თანამშრომლობით. ვიზიტის ფარგლებში სკოლის თანამშრომლებს შორის კომუნიკაცია და სკოლის ატმოსფერო იყო ძალიან პოზიტიური და თანამშრომლობაზე ორიენტირებული. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების პრაქტიკა, შემუშავებული რეგულაციები, კურიკულუმები პრაქტიკების გაცნობის და დამუშავების, სკოლის კონტექსტში გადმოტანის მაგალითია, რაც ხელს უწყობს თანამშრომლების მოტივაციის ზრდას და განვითარებას. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მიღებული მონაცემები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს თანამშრომელთა სამუშაოს შეფასებას, მათი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირების მიზნით. განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, მეთოდები, ეტაპები.

სკოლაში ასევე მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებას. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგები გათვალისწინებულია პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული გეგმის შემუშავების მიზნით. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

თანამშრომელთა მუშაობის შეფასება, პროფესიული განვითარების დაგეგმვა თანამშრომლების კარიერული ზრდისკენ არის მიმართული. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლას განსაზღვრული აქვს თანამშრომელთა სოციალიზაციის საკითხები „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით". თანამშრომელთა ადაპტაციის ნაწილს წარმოადგენს მისი წინასწარი მოლოდინები, შეხვედრები და პირველი სამი თვის მანძილზე ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში სოციალიზაციის პერიოდი, რაც გუნდში ინტეგრაციას ემსახურება. სკოლა თანამშრომელს ეხმარება გაეცნოს დამკვიდრებულ წესებს და ტრადიციებს. სკოლა ცდილობს ხელი შეუწყოს ახალი თანამშრომლების თანამშრომლობას გამოცდილ კოლეგებთან, აცნობს სკოლაში დამკვიდრებულ წესებს და ტრადიციებს, რთავს გუნდურ აქტივობებში. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან.

სკოლას ასევე განსაზღვრული აქვს წახალისების ფორმები თანამშრომლებისთვის, მათი მოტივაციის ამაღლების მიზნით. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- თანამშრომელთა წახალისების მაგალითები;
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 10 თებერვლის №8 ბრძანებით) და „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ (დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 24 თებერვლის №12 ბრძანებით).

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალს. პრინციპი, რომელსაც ეფუძნება პოლიტიკის დოკუმენტი არის დემინგის ციკლის გამოყენება პროცესების მართვაში, დაგეგმვა - განხორციელება - შეფასება და განვითარება. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს მმართველობით, ძრითად და დამხმარე პროცესებს. სკოლის მმართველობითი პროცესები მოიცავს: სტრატეგიულ დაგეგმვას, წლიურ დაგეგმვას და ხარისხის უზრუნველყოფას. ძირითად პროცესებს მიეკუთვნება: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, ხოლო დამხმარე პროცესებს - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება და კარიერული განვითარების სერვისები.

პოლიტიკის თანახმად, თითოეული პროცესი აღიწერება დოკუმენტურად და უნდა მოიცავდეს მიზნის და შედეგების განსაზღვრას ქვეპროცესების ჩამონათვალს, პროცესზე პასუხისმგებელ და პროცესში მონაწილე სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს, პროცესის დიაგრამას და საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებით ინფორმაციას. შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ აღნიშნული სახით ამავე დოკუმენტში განხილული იყო მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი. შესაბამისობის გეგმასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა დამატებით შემუშავებულიდოკუმენტი. <u>ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტანდარტის №3.3.1 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>, თუმცა, დამატებით გაიცა რჩევა, მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები ჩამოაყალიბოს P_D_C_A ციკლის შესაბამისად და განსაზღვროს თითოეული პროცესის დაგეგმვის ეტაპები, განხორციელების წესი, ხარისხის შემოწმების პროცედურა და განვითარების მექანიზმი.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლაში საჩივრების განხილვის სისტემა დარეგულირებულია წესდებით, რომელიც განსაზღვრავს როგორც დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას პროცესის წარმოების წესს, ისე - საჩივრების წარდგენის წესს. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 თებერვლის №14 ბრძანებით). განსაზღვრულია სხვადასხვა საკითხთან დაკავშრებით გასაჩივრების წესი და პირობები. სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. <u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 ოქტომბრის №29 ბრძანებით).
დოკუმენტი არეგულირებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის უფლება-მოვალეობებს იმ სახით, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. ასევე, ითვალსიწინებს დაზუსტებებს სკოლის კონტექსტში. **<u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის რეგულაციები
- სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის 2025 წლის 24 თებერვლის №12 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 10 თებერვლის №8 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- დაწესებულების 2024-2025 სასწავლო წლის ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა
- სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 24 თებერვლის №14 ბრძანებით დამტკიცებული განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

მართვის პროცესებთან დაკავშრებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება უზრუნველყოფილია დააწესებულებაში კოლეგიური ორგანოების ფუნქციონირებით, ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით. მომავალში, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, ასევე უნდა გავრცელდეს ინფორმაცია სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ. ვიზიტის ფარგლებში ასევე წარმოდგენილია მოსწავლეების და მშობლების გამოკითხვის შედეგები და მათი გამოყენების პრაქტიკა. **<u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა
სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო და მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო და სხვა დროებითი სამუშაო ჯგუფები, რომლებიც წარმომადგენლობითია და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას. **<u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწესებულების თანამშრომელთა ფუნქციები, სტრუქტურულ ერთეულთა დებულებები;
- მოსწავლეების და მშობლების გამოკითხვის შედეგები;
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

შეფასება:

- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების

მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვისათვის მექანიზმები, განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია უფლებამოსილ სახელმწიფო უწყებასთან. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის კორესპოდენცია, რომელიც ადასტურებს, რომ სამსახურმა შეიწავლა დაწესებულების მიერ 2025 წლის 31 მარტის კორესპოდენციით წარდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს, აღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური ადასტურებს მის შეთანხმებას. დოკუმენტი დამტკიცებულია დაწესებულების ხელმძღვანელის 2025 წლის 25 მარტის №30 ბრძანებით.

ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან მიწერილი კორესპოდენცია, რომლითაც ითხოვს სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შემოწმებას და შესაბამისი დასკვნის შედგენას. 2025 წლის 2 ივნისს ასევე გაფორმებულია ხელშეკრულება (№ე-231).

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლას შორის, ხელშეკრულების საგანია სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების განსაზღვრა. სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

<u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u> ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 თებერვლის №13 ბრძანებით). დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლის ექიმის ვალდებულებები, პირველადი სამედიცინო დამხარების აღმოჩენის პროტოკოლი, ამასთან. სკოლას ასევე აქვს სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისათვის ოთახი პირველ სართულზე, ბუნებრივი განათებით და ინვენტარით. დღეისათვის, სკოლაში არ არის დასაქმებული ექიმი/ექთანი. საავტორიზაციო განაცხადით წარმოდგენილია

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ასევე, ვიზიტის ფარგლებშიც დადასტურდა, რომ დაწესებულება მოტივირებულია, აიყვანოს სამედიცინო პერსონალი. დაწესებულება სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით თავს აფასებს როგორც მეტწილად შესაბამისს. **შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადა აღემატება 12 თვეს, რის გამოც დაწესებულება სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლაში შემუშავებულია წესი ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 3 სექტემბრის №18 ბრძანებით. წესით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესის დაცვის მიზნით სკოლაში გასატარებელი ღონისძიებები. ამასთან, სკოლაზე ვრცელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №06/ნ ბრძანებით განსაზღვრული პირობები. სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 ნოემბრის №39 ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე, სკოლაში მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირები (2024 წლის 15 ნოემბრის №41 ბრძანება). უნდა აღინიშნოს, რომ უფლებამოსილი პირი ასევე დასაქმებულია სკოლაში როგორც მასწავლებელი, რაც გაკრვეულწილად ხელს უშლის მის მიერ 06/ნ ბრძანებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებას. ასევე, სკოლის ვიდეო კამერები სრულად ვერ ფარავს სკოლის შიდა და გარე პერიმეტს, არის გარკვეული მონაკვეთები, რაც არ ექცევა კამერების ხედვის არეალში. მონიტორი, რომელიც ფარავს კამერებს, განთავსებულია საქმისმწარმოებლის ოთახში და უფლებამოსილი პირი ვერ ადევნებს თვალს მიმდინარე პროცესს სისტემატიურ რეჟიმში. აღნიშნული, მეორე მხრივ არ არის მიზანშეწონილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის გათვალისწინებითაც. სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა არ იქნა მიჩნეული დაკმაყოფილებულად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დაწესებულება საათობრივი დატვირთვის განსაზღვრისას გაითვალისწინებს უფლებამოსული პირის ფუნქციურ დატვირთვას და უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ დოკუმენტით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილებას. ასევე, სტანდარტის ამავე ინდიკატორთან დაკავშირებით გამოიკვეთა, რომ სკოლის ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა სრულად ვერ ფარავდა შენობის გარე პერიმეტს. დაწესებულებამ წარმოადგინა დამატებით 6 ვიდეო კამერის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით სტანდარტის № 3.4.1 (3) ინდიკატორის მოთხოვნა ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში დასაქმებული არ არის ფსიქოლოგი. ამასთან, სკოლაში არის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. სკოლას შესაძლებლობა აქვს, საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლოს მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების სერვისით. განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე, ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშრებული შიდა ინსტრუქცია. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ოქტომბრის №33 ბრძანებით დამტკიცებუილია სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები, რომლითაც განსაზღვრულია სკოლაში ყოველდღიურად, ასევე, ყოველთვიურად გასატარებელი ღონისძიებები. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების წესს განსაზღვრავს ასევე სკოლის დირეტქორის 2024 წლის 3 სექტემბრის №18 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ყოველდღიურ, ყოველთვიურ და გენერალური დასუფთავების დროს გასატარებელ ღონისძიებებს. სკოლაში დღეისათვის დასაქმებულია დასუფთავების 2 სპეციალისტი (დამლაგებელი). **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ დოკუმენტი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 5 სექტემბრის №21 ბრძანებით). დოკუმენტით რეგულირებულია გარკვეული საკითხები, ამასთან, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად საჭიროა დამატებითი სამუშაო, რაც სცდება ავტორიზაციის ექსპერტების კომპეტენციის სფეროს. ვიზიტის მიმდინარეობის პერიოდში სკოლას უკვე განსაზღვრული ჰყავდა პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი, რის შესახებ ინფორმაციაც დღეისათვის უკვე განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებგვერდზეც. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

ინფორმაციის დაცვის მიზნით, სკოლაში განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა უზრუნველყოფილია ანტივირუსული პროგრამებით და დაცულია კიბერშეტევებისაგან. სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, სკოლამ მატერიალური სახით არსებული ინფორმაციის დასაცავადაც განსაზღვროს ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და გაუმჯობესება უზრუნველყოფილია მრჩეველთა საბჭოს მუშაობით. **<u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 3 სექტემბრის №18 ბრძანებით დამტკიცებული წესი - ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება სკოლაში;

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 ნოემბრის №39 ბრძანება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 ნოემბრის №41 ბრძანება მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ

სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ოქტომბრის №33 ბრძანებით დამტკიცებუილია სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 25 მარტის №30 ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან 2025 წლის 2 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება (№ე-231).

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

სკოლას მფლობელობაში აქვს 3842.00 კვ.მ. მიწის ფართობი და შენობა-ნაგებობა, რომლის ფართობიც შეადგენს 1453.23 კვ.მ.-ს.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, უძრავი ქონება საკუთრების უფლებით ეკუთვნის სახელმწიფოს, ხოლო სარგებლობის უფლებით სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლას. ამონაწერის მიხედვით შენობა-ნაგებობის ფართია 488.90 კვ.მ. აღნიშნული განპირობებულია იმ მდგომარეობით, რომ შენობა-ნაგებობის ხანძრით დაზიანების შემდეგ მოხდა მისი დემონტაჟი და ახალი შენობის აშენება, რაც ამ ეტაპზე არ არის ასახული საჯარო რეესტრში. სკოლას ინვენტარიზაცის შედეგების გათვალისწინებით აქვს 140 სასკოლო მერხი სკამით, დამატებით გადაცემული აქვს სასკოლო მერხების და სკამების 40 კომპლექტი და III საფეხურის სასკოლო მერხი 50 კომპლექტი, რაც უზრუნველყოფს ავტორიზაციის ვადით მოსწავლეთა ადგილების მოთხოვნილი რაოდენობისათვის მომსახურების გაწევას. სკოლას აქვს მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარი და კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი. სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.

შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ფართის ასახვა მოხდება 2026 წლის 7 ივლისამდე პერიოდში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან სტანდარტის № 3.5.1. (1) ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულება შეფასდა როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის №3 ბრძანებით).

საგანმანათლებლო რესურსის ტიპები: ბიბლიოთეკაში არსებული რესურსები, სახელმძღვანელოები, კომპიუტერული ლაბორატორია და ინტერნეტი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლის დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის №25 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკის ფუნქციებს, მკითხველთა უფლებებს, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, მკითხველის პასუხისმგებლობებსა და მოვალეობებს, ბიბლიოთეკარის მოვალეობებს მკითხველთა მომსახურებისას. ბიბლიოთეკის საქმიანობის მიზანია მოსწავლეთა სწავლების ხარისხისა და მოტივაციის გაზრდა. ბიბლიოთეკა კეთილმოწყობილია, ემსახურება ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკის კატალოგად შეიძლება ჩაითვალოს ელექტრონული ფორმით აღრიცხული წიგნების ჩამონათვალი. **<u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>** ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, ბიბლიოთეკის კატალოგი სკოლამ აწარმოოს საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მატერიალური ან ელექტრონული სახით.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

შენობა ახალი აშენებული და კეთილმოწყობილია. შენობაში მოხვედრა შესაძლებელია პანდუსით. ყველა სართულზე არის სველი წერტილები შშმ პირებისათვის. სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია ლიფტით. **<u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრაქტრუქტურა, საერთო გამოყენების სივრცეები შენობაში და ეზოში ქმნის სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ გამოყენების შესაძლებლობას. სკოლას აქვს სააქტო დარბაზი, რომელშიც პერიოდულად იმართება სასკოლო ღონისძიებები. **<u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

- სკოლის დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის №25 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ბიბლიოთეკის დებულება,
- სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის №3 ბრძანებით.
- ინვენტარიზაციის აქტი
- შენობა-ნაგებობის ტექნიკური ნახაზი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

სკოლის ბუღალტრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით სკოლას მფლობელობაში აქვს 28 კომპიუტერი (პერსონალური, პორტაბელური ლეფტოპები). ტექნოლოგიები გამოიყენება სკოლის მართვაში, აქტიურად იყენებენ მასწავლებლები, ასევე, ბავშვები საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების მიზნებისათვის და სხვა საჭირო ამოცანების შესასრულებლად. საკლასო ოთახები აღჭურვილია ასევე პროექტორებით. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის №3 ბრძანებით). ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. განსაზღვრულია კონკრეტული ამოცანები, რომელთა შესრულებაც დაშვებულია ინფორმაციული სისტემის ინფრასტრუქტურით, ასევე, ქმედებები, რომლებიც აკრძალულია კომპიუტერთან მუშაობისას: პროგრამული ფაილების ჩაწერა და წაშლა, გამოყენება თანამშრომლისა და სხვა სახის გართობისთვის, ხარვეზის წარმოშობის შემთხვევაში მისი თვითნებურად გასწორება, კომპიუტერით სარგებლობისათვის განსაზღვრულია ლიმიტი. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის ბრძასნება სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ
- ინვენტარიზაციის აქტი;
- მიღება-ჩაბარების აქტები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორს 2024 წლის 15 ნოემბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციაში დოკუმენტბრუნვის ორგანიზების საკითხებს. წესის შესაბამისად, დოკუმენტაცია იწარმოება ელექტრონულად, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (eflow) გამოყენებით. ამასთან, დოკუმენტების ნაწილი იწარმოება მატერიალურად, აღირიცხება ჟურნალებში, თუმცა, მოგვიანებით იტვირთება eflow სისტემაში. ასევე, დაწესებულების საქმისწარმოების წესში გარკვეულ დოკუმენტებთან დაკავშირებით (ოქმი) აღნიშნულია, რომ იწარმოება მატერიალურად, თუმცა, გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ იწარმოება სრულად ელექტროუნლად. წესი შემუშავებულია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1-ელი ივლისის №414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ შესაბამისად, რომელიც დღეისათვის მოქმედი და იურიდიული ძალის მქონეა. <u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u> ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, დაწესებულებამ საქმისწარმოების საკუთარი წესი და საკუთარი პრაქტიკა დაამთხვიოს ერთმანეთს.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

დაწესებულება უზრუნველყოფილია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით (eflow). <u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემები და დადასტურდა წარმოების სისწორე. <u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა დროულად თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოსთან, ასევე, დროულად რეაგირებს შემოსულ კორესპოდენციაზე და თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. **<u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების გადამოწმების შედეგები
- საქმისწარმოების წესი;
- სკოლაში შემოსული კორესპოდენციები და გაცემული პასუხები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

საზოგადოებასთან კომუნიკაციას სკოლა ახორციელებს ვებგვერდზე skolebi.emis.ge საკუთარი გვერდის მეშვეობით, დაწესებულებას ასევე აქვს გვერდი სოციალურ ქსელში (facebook).

საზოგადოებასთან ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ასევე, გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (eflow) და ელექტრონული ფოსტა, საინფორმაციო დაფები. სკოლის ელექტრონული ფოსტა გამიზნულია ინფორმაციის სწრაფად გავრცელებისა და უკუკავშირის მოქნილად მოპოვებისათვის.

თანამშრომლებთან კოუნიკაციისათვის გამოიყენება სატელეფონო კავშირები, სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა და ღია სივრცეში განთავსებული სიანფორმაციო დაფა, რომელზეც პერიოდულად თავსდება ინფორმაცია.

თავის მხრივ, მოსწავლეებთან კოუნიკაციისათვის გამოუყენება ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, სატელეფონო კავშირები და ზეპირი კომუნიკაცია, კლასისი დონეზე ან უფრო მასშტაბური შეხვედრების ფორმატში. **<u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში განსაზღვრავს თანამშრომლების პასუხისმგებლობას სკოლის შიგნით და, ასევე, გარეთ, იმ სახით, რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილისა და მიწოდების გონივრული ინტერესი. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

თანამშრომლების პასუხისმგებლობა, საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის შესაბამისად ითვალისწინებსა მათ ვალდებულებას, რომ იზრუნონ დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული ინფორმაციის სკოლის საქმიანობის მიზნებისათვის გამოყენებაზე, რისთვისაც ცვლიან და ავრცელებენ ინფორმაციას. წესის მიხედვით, სკოლამ უნდა განახორციელოს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით შემოსული შეკითხვების, ინიციატივების ანალიზი, ხოლო უკუკავშირი უნდა გამოიყენოს შემდგომი განვითარებისათვის. პასუხისმგებელ პირად შესაბამის პროცესებზე განსაზღვრულია სკოლის საქმისმწარმოებელი. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს საკუთარი გვერდი ვებგვერდზე skolebi.emis.ge, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის გვერდზე (skolebi.emis.ge) განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, ორგანოგრამა, საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამების შესახებ ინფორმაცია, ასევე, მათზე ჩარიცხვის პროცედურები და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე ატვირთულია მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების შესახებ ინფორმაცია. ამ ეტაპზე არ არის ინფორმაცია განთავსებული სკოლის ფინანსური მდგრადობისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების შესახებ, რაც იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას არ იქნა შეფასებული ხარვეზად. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;
Skolebi. Emis.ge;
სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook.com);
სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

სკოლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისათვის განსაზღვრულია სკოლის შიდა რესურსები, სკოლის ფინანსური რესურსით მიღწევადია. სკოლის 2025 წლის ძირითადი დაფინანსება შედგება ბიუჯეტიდან მიღებული ვაუჩერული დაფინანსებისაგან, სამინისტროსაგან მიღებული დამატებითი დაფინანსებით (დაფინანსების დეფიციტის დაფარვის მიზნით). ბიუჯეტი ფარავს შრომის ანაზღაურებას, საქონელსა და მომსახურებას და სხვა საჭირო ხარჯებს. **<u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის) სისტემა. ბიუჯეტი და მისი შესრულების ანგარიში წარედგინება სკოლის სამეურვეო საბჭოს. **<u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია;
სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიზნით შემუშავებულია შიდა რეგულაციები და ხორციელდება პრევენციული ღონისძიებები. მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შესაბამისი მექანიზმები აღწერილია შემდეგ დოკუმენტებში: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მექანიზმები, ბავშვთა დაცვის (რეფერირების) პროცედურები, ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და დისციპლინური კომიტეტის დებულებები. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს „სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს ბავშვის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენის, გასაჩივრებისა და რეაგირებისთვის.

„მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მექანიზმების“ დოკუმენტი მიზნად ისახავს მოსწავლის ღირსების, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და განვითარების უფლების უზრუნველყოფას. მოსწავლეთა უფლებების დაცვის ეფექტური კონტროლისა და პრევენციისთვის, დოკუმენტის საფუძველზე, სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელი კომისია. სკოლაში განხორციელებული ვიზიტისას დაზუსტდა, რომ კომისიის შემადგენლობა დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლის ადმინისტრაციამ განმარტა, რომ კომისია აქტიურ საქმიანობას 2025-2026 სასწავლო წლიდან შეუდგება.

აღსანიშნავია, რომ სკოლაში ხორციელდება პრევენციული ხასიათის რიგი აქტივობები, რომლებიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეთა უფლებების დაცვას, კერძოდ ძალადობის თავიდან აცილებასა და მასზე დროულ და ადეკვატურ რეაგირებას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის უსაფრთხო და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს შექმნას. მაგალითად, 2024-2025 სასწავლო წელს საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა საგანმანათლებლო კვირეული, რომელიც მიზნად ისახავდა ძალადობის სხვადასხვა ფორმის (მათ შორის ბულინგი, კიბერ ბულიგი, ოჯახური ძალადობა და სხვ) შესახებ მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირებას. ბულინგის შესახებ საკლასო პროექტი განახორციელა ინგლისური ენის პედაგოგმაც. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრებისა და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები და რეგულაციები, რაც მათი ეფექტიანი აღსრულების საფუძველს ქმნის. სკოლა აწარმოებს საინფორმაციო შეხვედრებს, მათ შორის კლასის საათისა და მშობელთა კრებების ფარგლებში. გარდა ამისა, სიახლეებისა და ცვლილების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად თავსდება სპეციალურად გამოყოფილ საინფორმაციო დაფებზე. ეფექტიან საკომუნიკაციო სივრცედ, სკოლა სოციალურ ქსელში შექმნილ დახურულ ჯგუფებს ასახელებს, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეებსა და მშობლებს უზიარებს მათთვის შექმნილ საინფორმაციო ბარათებს. საჯაროობის პრინციპის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის უფლებების დაცვის მექანიზმები განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე (https://skolebi.emis.ge/). **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელსა და სკოლას შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მხარეთა უფლება-მოვალეობების შესახებ, ინფორმირებულ შეთანხმებას სხვადასხვა რეგულაციებზე. დოკუმენტში განსაზღვრულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი; დავის გადაწყვეტის წესი; დამატებითი პირობები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის დირექტორის ბრძანება N14;
სკოლის დირექტორის ბრძანება N26;
მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დავცის რგულაციები;
სკოლაში საჩივრისა და განცხადების წარდგენის წესი;
მშობელსა/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების შაბლონი;
მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმების ფორმა ფოტო-ვიდეო მასალის საჯარო სივრცეში განთავსების შესახებ;
სკოლის შინაგანაწესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი გამჭვირვალე, მკაფიოა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლა არ აწესებს ბარიერებსა და განსაკუთრებულ პირობებს მოსწავლეთა რეგისტრაციის პროცესში.

ზემოთ აღნიშნული დოკუმენტის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე, პირველ კლასში რეგისტრირდება პირი რომელსაც 31 აგვისტომდე უსრულდება 6 წელი. აღნიშნული ვრცელდება როგორც საჯარო ასევე კერძო სკოლაზე. სწავლის დაწყების ასაკთან დაკავშირებით, <u>ამ ეტაპზე, გამონაკლისი არ დაიშვება.“</u> თუმცა, აღნიშნული დოკუმენტი არ ითვალისწინებს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 63[3]-ით განსაზღვრულ ჩანაწერს: 2014-2015 სასწავლო წელს ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკთან დაკავშირებული გამონაკლისი წესი, რომლის თანახმადაც 2014-2015 სასწავლო წელს ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების უფლება აქვთ აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც 2015 წლის 1 იანვრამდე შეუსრულდებათ 6 წელი ან რომლებიც 2013-2014 სასწავლო წელს სწავლობენ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სწავლის დაწყების მოსამზადებელ კლასში/განყოფილებაზე და 2014-2015 სასწავლო წლის დაწყებამდე მათი ასაკი 5 წელს აღემატება. მნიშვნელოვანია, სკოლის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ აისახოს შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაცია. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u> ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, დაწესებულებამ საკუთარ რეგულაციაში ასახოს ზემოთ მითითებული გამონაკლისი წესიც.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესს. შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემდგომ, სკოლის დირექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება როგორც მოსწავლეთა ჩარიცხვის, ისე მოსწავლეთა მიერ საფეხურის დაძლევის შესახებ. ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა ადაპტაციისა და ტრანზიციის წესის დოკუმენტები, რომელშიც აღწერილია მოსწავლეთა სოციალიზაციის, ადაპტაციისა და ინტეგრაციისთვის საჭირო და დამხმარე სტრატეგიები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის განმარტებით, ამ დროისთვის არ ირიცხება დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე არც

ერთი მოსწავლე, მიუხედავად ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის პროგრამის დებულება. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლის შინაგანაწესი ძირითადი დოკუმენტია, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომისათვის განკუთვნილი სახდელები და წახალისების ფორმები. შინაგანაწესით რეგულირდება მოსწავლის უფლებები და პასუხისმგებლობები. სასკოლო პოლიტიკა არადისკრიმინაციულია, დაცულია თანასწორობის პრინციპები და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მის წინაშე ანგარიშგებისთვის სკოლა იყენებს ეფექტიან მექანიზმებს. სკოლის დირექციის, მასწავლებლების, დამრიგებლების მიერ სისტემატიურად ხდება საზოგადოების ინფორმირება სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ინფორმაციის გავრცელების პროცესში სკოლა იცავს პერსონალური მონაცემების გავრცელების წესს, თანასწორობისა და ინკლუზიურობის პრინციპებს. სკოლას აქვს თავისი ვებგვერდი და საკუთარი Facebook გვერდი , სადაც მუდმივად შუქდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. გარდა ამისა, მოსწავლეებსა და მათ მშობლებთა პერიოდულად იმართება საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრები. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის დირექტორის ბრძანება N30
სკოლის დირექტორის ბრძანება N1
სკოლის დირექტორის ბრძანება N11
მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი
მოსწავლეთა ადაპტაციის წესი

რემედიაციის პროგრამის დებულება
სკოლის ვებ გვერდი: https://skolebi.emis.ge
სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში: https://www.facebook.com/kedkedissajaroskola

შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სასკოლო კულტურაზე დაკვირვების, დოკუმენტაციის შესწავლისა და პერსონალთან საუბრის საფუძველზე დგინდება, რომ მოსწავლეების ინტეგრაცია და სოციალიზაცია სასკოლო ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. სკოლაში შემუშავებულია და მოქმედებს დოკუმენტი „მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის წესი“, რომელიც აღწერს იმ სტრატეგიებსა და მიდგომებს, რომლებიც კლასის დამრიგებელმა და სხვა პედაგოგებმა უნდა გამოიყენონ ახალი მოსწავლის ადაპტაციის პროცესში. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესი სკოლაში რეგულირდება დოკუმენტით „მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის წესი“. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა კონკრეტული შემთხვევისთვის ამუშავებს ინდივიდუალურ გეგმას, რომლის განხორციელებასაც ძირითადად კლასის დამრიგებელი ხელმძღვანელობს. სკოლის მიმართ მიკუთვნებულობის გასაძლიერებლად ახალ მოსწავლეს დამრიგებელი აცნობს

სასკოლო გარემოს, სკოლაში დამკვიდრებულ ფორმალურ და არაფორმალურ წესებს, მაგალითად, საერთო სარგებლობის სივრცეებით სარგებლობის წესებს. სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში, სხვადასხვა საგნის პედაგოგს მოჰყავდა მაგალითები, თუ როგორ შეძლეს საფეხურის შეცვლით გამოწვეულ ცვლილებებთან მოსწავლეთა ადაპტაცია. სკოლის პედაგოგებისთვის მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა პიორიტეტს წარმოადგენს, ისინი ცდილობენ მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების დაგეგმვას. მათი დაკვირვებით, ხშირ შემთხვევაში, სწორედ არაფორმალურ აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობა იწვევს მათ გააქტიურებას, თვითშეფასების ზრდას, რაც შემდგომ დადებითად აისახება მათ აკადემიურ მოსწრებაზე. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის შესაფასებლად სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელი შეფასების ფორმებს. წინარე ცოდნის განსასაზღვრად ტარდება დიაგნოსტიკური წერები, რომელთა შედეგები წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს სასწავლო კურიკულუმების გადასახედად. პედაგოგების თქმით, მოსწავლეთა მიღწევების გათვალისწინებით, ხშირად ხდება უკვე არსებული საგაკვეთილო გეგმებისა და მათში აღწერილი აქტივობების ჩანაცვლება ან/და კორექტირება. გარდა ამისა, სკოლაში მრავალწლიან პრაქტიკას წარმოადგენს დამატებითი მეცადინეობების ჩატარება. მათემატიკის პედაგოგი აღნიშნავს, რომ სკოლის არც ერთი მოსწავლე არ მიმართავს რეპეტიტორს ეროვნული გამოცდებისთვის მზადების პროცესში, რადგან საგაკვეთილო პროცესის შემდეგ იმართება საკონსულტაციო შეხვედრები როგორც საშუალო, ისე მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებთან. პრაქტიკაზე დაკვირვების შედეგად, პედაგოგმა იდენტიფიცირება მოახდინა იმ საკითხების, რომელთა დაძლევა სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებს განსაკუთრებულად უჭირთ. სწორედ ამ მიზეზით დააფუძნდა სკოლაში კლუბი „პირამიდა“, რომელშიც გაერთიანდა სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეები. როგორც მათემატიკის პედაგოგი განმარტავს, კლუბის საქმიანობისას დამატებითი მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება, სწავლების ინტერაქტიური, შემოქმედებითი მიდგომების, პროექტული სწავლების მეთოდის დანერგვამ მნიშვნელოვნად გაზარდა საგაკვეთილო პროცესში დაბალი აქტივობით გამორჩეული მოსწავლეების ჩართულობა. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა მცირეკონტიგენტიანია, პედაგოგები ცდილობენ დაგეგმონ იმგვარი აქტივობები, რომელშიც რამდენიმე კლასის ჩართვა იქნება შესაძლებელი, რათა მოსწავლეებს გაუძლიერდეთ გუნდური მუშაობის, ლიდერობის, თანამშრომლობის უნარ-ჩვევები. ზემოთ აღწერილი სტრატეგიები საბოლოოდ დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა სწავლის შედეგებზე. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

მოსწავლეთა მხარდამჭერი მექანიზმების არსებობის პირობებში, სკოლა შესაბამისად რეაგირებს დოკუმენტებში განსაზღვრული რეგულაციებისა და წინასწარ დადგენილი ვადების შესაბამისად. მოსწავლეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისა და ხელშეწყობისთვის, სკოლის ადმინისტრაცია დროულად რეაგირებს როგორც მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოს, ისე მშობელთა განცხადებებსა და ინიციატივებზე. <u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა ახალისებს მოსწავლეთა დამოუკიდებელ ინიციატივებს და მხარს უჭერს აქტივობების განხორციელებაში. სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი“, რომელშიც აღწერილია მოსწავლეთა ინიციატივების გამოვლენის, მხარდაჭერისა და განხორციელების წესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სკოლის პერსონალთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის ძირითადი მიმართულება ცნობიერების ამაღლების კამპანიების გამართვა და საგანმანათლებლო აქტივობებში აქტიური ჩართულობაა. სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო მიმართულებით „ბიო კლუბი“, მათემატიკის კლუბი „პირამიდა“, მოქალაქეობის კლუბი „საზრიანები“, ხელოვნების კლუბი. თითოეული კლუბის საქმიანობა ეფუძნება წინასწარ შემუშავებულ დებულებას. შეხვედრები იმართება თვეში ერთხელ. მოსწავლეები საკუთარი ინტერესების შესაბამისად, ნებაყოფლობით, განცხადების საფუძველზე ირიცხებიან აღნიშულ კლუბებში. აღსანიშნავია, რომ არაფორმალური განათლების კომპონენტის საქმიანობა სრულ თანხვედრაშია სკოლის მისიასა და ერთლიან სამოქმედო გეგმაში აღწერილ პრიორიტეტულ მიმართულებებთან. მაგალითად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კლუბის „ბიო კლუბი“, ფარგლებში განხორციელებული ღონისძებების ძირითადი თემები კლიმატის ცვლილებას, გარემოს დაცვას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზებას, სხვადასხვა საჭიროებების მქონე პირების მიმართ ემპათიის გაძლიერებას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან დაკავშირებული პროფესიების პოპულარიზებას ისახავდა მიზნად. <u>სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლა ცდილობს ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით შეაფასოს საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანობა, ამისათვის ატარებს გამოკითხვებს მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობით. კლუბის „პირამიდა“ ფარგლებში მოეწყო მოსწავლეთა გამოკითხვა, თუ რომელი საგნის სწავლა იყო მათთვის განსაკუთრებულად საინტერესო. მიღებული მონაცემებით შეიქმნა მონაცემთა ბაზა, გაანალიზდა შედეგები და შესაბამისი მიგნებები გაზიარდა დაინტერესებულ მხარეებთან. გარდა ამისა, ხარისხის მართვის ჯგუფი ცდილობს შეაფასოს სწავლების ხარისი და გეგმავს შედეგებზე დაყრდნობით შეიმუშაოს რეკომენდაციები პასუხისმგებელი პირებისთვის. შესაბამისად,

მიღებული უკუკავშირის საფუძველზე სკოლა გამოავლენს მოსწავლეთა საჭიროებებს და გააუმჯობესებს დამხმარე პროგრამებს. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის დირექტორის ბრძანება 17, 22, 32
მოსწავლეთა ადაპრაციის წესი
რემედიაციის პროგრამის დებულება
მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი
სასკოლო კლუბების „ბიო კლუბი“, „საზრიანები“, „პირამიდა“, „ახალგაზრდა ხელოვანები“ დებულებები
მშობელთა კრების ოქმი
მშობელთა გამოკითხვის შედეგები
სოციალურ ქსელში შექმნილი კლუბების საქმიანობის ამსახველი გვერდების ბმულები:
https://www.facebook.com/profile.php?id=61567718587567
https://www.facebook.com/profile.php?id=61567209245133

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

დამატებითი აქტივობებითა, კლასის საათის, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრების, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით სკოლა უზრუნველყოფს პროფესიული ორიენტაციის მომსახურეობაზე მოსწავლეთა ხელმისაწვდომობას. მაგალითად, ბიო კლუბის ერთ-ერთ აქტივობას პროფესიების გაცნობის მიზნით ჩატარებული აქტივობა წარმოადგენდა, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები გაეცნენ პროფესიების მრავალფეროვნებას. ასევე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელთან შეხვედრის მიზანს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა პროფესიის, კარიერული გზებისა და შრომის ბაზრის რეალური მოთხოვნების გაზიარება დაეხმარება ახალგაზრდებს საკუთარი ინტერესების, უნარების და შესაძლებლობების უკეთ გააზრებაში. სკოლა გეგმავს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქ. ქობულეთში მდებარე პროფესიულ სასწავლებელთან „ბლექსი“. ამჟამად მიმდინარეობს აქტიური

მონალაპარაკებები მხარეებს შორის. სკოლა ასევე გეგმავს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების დანერგვას კომპიუტერული ქსელების, ადმინისტრაციული სერვისებისა და ბაღის დიზაინის მიმართულებით. სკოლამ აღნიშნული სერვისის დანერგვის მიზნით მიმართა შესაბამის უწყებას. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ამ მიზნით, სკოლაში იმართება უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელთან შეხვედრა მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლებისა და კარიერული დაგეგმვის მიზნით, ხოლო ახალი სასწავლო წლიდან დაგეგმილია თანამშრომლობის გაღრმავება პროფესიულ სასწავლებლებთან. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს ზეპირი გასაუბრების საფუძველზე. ასევე, სკოლა სამომავლოდ გეგმავს აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას აქტივობებში ჩართული მოსწავლეების გამოკითხვით. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დამრიგებლის მიერ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის შესახებ შეხვედრის ჩატარების ამსახველი ოქმი და ანგარიში
ინტეგრირებული პროფესიული პროგრამის შეთავაზება
„ბიო კლუბის“ ფარგლებში განხორციელებული აქტივობის ამსახველი ბმული: https://www.facebook.com/share/p/15TXfa9uYN/

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციების დოკუმენტი, თუმცა ამ ეტაპზე, სკოლაში არც ერთი სსსმ მოსწავლე არ ირიცხება. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლაში ამჟამად არ ირიცხება არც ერთი სსსმ მოსწავლე.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის დირექტორის ბრძანება N22
სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლა ამჟამად არ ახორციელებს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლა ამჟამად არ ახორციელებს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლა ამჟამად არ ახორციელებს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი	**☐ შეესაბამება**

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლას წარმოდგენილი აქვს „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც თანმიმდევრულადაა გაწერილი კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების პრინციპები. ერთ-ერთ პრინციპს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობა და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინება წარმოადგენს. დოკუმენტის თანახმად, სკოლა ჩაატარებს კვლევას სხვადასხვა მიმართულებით სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და საჭროებების იდენტიფიცირებისთვის. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სასკოლო კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რადგან მისი შემუშავება ხდება სხვადასხვა მონაწილე მხარის – მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების და სკოლის სხვა წარმომადგენლის ჩართულობით. შემუშავებული კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას, ორიენტირებულია თანამედროვე სამყაროში საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაზე. იგი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს, საშუალებას აძლევს სკოლებს ნაწილობრივ უზრუნველყონ საგნების შერჩევა და საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირება. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს უკუკავშირის მექანიზმები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასკოლო საზოგადოების მოთხოვნები დროულად აისახოს კურიკულუმებში. სკოლის დირექტორი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია კურიკულუმში აისახოს ადგილობრივ კონტექსტი, რაც გულისხმობს მაჭახელას ხეობის პოტენციალის შესახებ მოსწავლეებისა და ადგილობრივი თემის ინფორმირებას,

განვითარების გზების კვლევასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას დაინტერესებული მხარეებისთვის. გარდა ამისა, სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან პროფესიულ, უმაღლეს და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობისას პრიორიტეტი მიენიჭება ადგილობრივი თემის გაძლიერებისთვის საჭირო პროფესიებისა (მათ შორის ტრადიციული საქმიანობები) და საქმიანობების პოპულარიზების ხელშეწყობას. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რადგან მის ფორმირებაში აქტიურად იყვნენ ჩართული მასწავლებლები, მოსწავლეები, დირექტორი, მშობლები. მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმის განახლება დაეფუძნება საზოგადოებისგან მიღებულ რეკომენდაციებს, რაც უზრუნველყოფს მისი შინაარსის მეტ შესაბამისობას მოსწავლეთა საჭიროებებსა და თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებთან. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რადგან იგი ეფუძნება საერთო ღირებულებებსა და მიზნებს, რომლებიც მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს და ადმინისტრაციას აერთიანებს. სასწავლო პროცესი იგეგმება წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს, რომ მასწავლებლები აქტიურად იყენებენ მას პრაქტიკაში, ხოლო მშობლები და მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან მის ძირითად პრინციპებზე. 2024-2025 სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები კურიკულუმის შინაარსის გაცნობის მიზნით. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირთათვის. უკუკავშირის მისაღებად სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული გვერდი სოციალურ მედიაში, საჯარო ღონისძიებები, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა.ზემოთ მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ კურიკულუმები სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებული და მხარდაჭერილია. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის სასკოლი სასწავლო გეგმა
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან გასაუბრება
სკოლის დირექტორის ბრძანება N20

მშობლისა და მოსწავლის გამოკითხვის ფორმების ნიმუში
სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
კათედრის დებულება
პედაგოგიური საბჭოს ოქმი N2

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, სკოლას განხორციელებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით განსაზღვრული აქტივობები, რაც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში ერთმანეთთან თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. აღსანიშნავია ასევე, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის - მოსწავლის, მშობლის ინტერესები. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, კერძოდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების მასწავლებლები ერთმანეთთან თანამშრომლობენ კათედრაზე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში. ითვალისწინებენ გამოწვევებს, შესაძლებლობებს და სახავენ პრორიტეტებს. აღსანიშნავია, რომ ისინი მომავალ სასწავლო წელს გეგმავენ სასკოლო

	საზოგადოების სრულფასოვან და კიდევ უფრო მეტად აქტიურ ჩართვას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სკოლა მშობლის ინფორმირებისთვის იყენებს შემდეგ მექანიზმებს: სოციალური ქსელი, მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები, რომელთა საშუალებითაც ხდება არსებული სასკოლო, საგნობრივი კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო თემთან.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები, რომელიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; სამიზნე ცნებები, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესში მთავარი ორიენტირია, თანმიმდევრულად მუშავდება თემებში. შუალედური მიზნები შესაბამისობაშია სასწავლო შინაარსებთან; ჩანს, რომ მასწავლებლები შემოქმედებითი ტიპის დავალების შესრულებაში პრიორიორიტეტს ძირითადად კომპლექსურ დავალებას ანიჭებენ; პირველად გადმოგზავნილი კურიკულუმები დაზუსტებას საჭიროებდა; დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის შემდეგ, დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებებისა და არსებული მოცემულობის შესაბამისად. რასაც ადასტურებს ჩასწორებული კურიკულუმები, დავალების შესრულების დოკუმენტები, პროექტი.
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები, შემოქმედებითი დავალებების იდეები, რესურსები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, ნიმუშების სახით სასწავლო მასალამ, მასწავლებლებთან ინტერვიუმ წარმოაჩინა კათედრის სწორი ხედვა და მზაობა, კათედრამ გამოამჟღავნა სტრატეგიების, მათ შორის მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიების და ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდური ორიენტირების ცოდნა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭირობების განსაზღვრისთვის. კათედრას აქვს მკაფიო ხედვა,

	თუ როგორ უნდა მოხდეს თითოეული სამიზნე ცნების დამუშავება იმგვარად, რომ სასწავლო პროცესის ცენტრალური ფიგურა იყოს მოსწავლე.
ესთეტიკური აღზრდა	კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმი დაფუძნებულია შემოქმედებით დავალებებზე, რაც მოითხოვს სწავლების კონსტრუქტივისტური პრინციპების დამკვიდრებას - წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენებას. შემოქმედებითი დავალებები კურიკულუმებში ჩაშენებულია თემების შესაბამისად. კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და მის პიროვნულ განვითარებას, ხელს უწყობს მოსწავლეებს კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ ცოდნის კონსტრუირება, უვითარებს კრიტიკული და შემოქმედებით აზროვნებას, პრობლემების გადაწყვეტის უნარებს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები, მათი წინარე ცოდნა და მათი ცხოვრებისეულ გამოცდილება. კურიკულუმებში მოცემულია შუალედური და გრძელვადიანი მიზნები, თემატური მატრიცები და შეფასების კრიტერიუმები. მთლიანობაში, შემუშავებული კურიკულუმები პასუხობს საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შემოთავაზებული კომპონენტების საშუალებით აღწერს გზას, რომელიც უნდა გაიაროს მოსწავლემ გრძელვადიანი მიზნების დასაძლევად.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურისათვის შემუშავებული კურიკულუმები აგებულია მოსწავლეთა კონკრეტული ასაკობრივი მახასიათებლების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, პედაგოგები ცდილობენ, დავალებები, აქტივობები მაქსიმალურად მოარგონ კლასის ყველა მოსწავლეს. სასურველია, კათედრამ სრული ჩართულობით იმუშაოს ამ მიმართულებით კურიკულუმების გადამუშავება-განვითარებაზე და ასახონ სასწავლო შინაარსებსა და თემატურ გეგმებში ყველა ის მიგნება, რაც მოწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს უკავშირდება.
მათემატიკა	კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. კურიკულუმში მოცემული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდლებას. ძირითადი კონტექს-მაგალითები ეფუძნება მოსწავლეთათვის ნაცნობ კონტექსტებს. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით

	შესაძლებელია სხვადასხვაგვარი რესურსების გამოყენება, მაგ. ინტერნეტ რესურსები, დამატებითი ლიტერატურა, კომპიუტერი, პროექტორი, პლაკატები, გეომეტრიული სხეულები სივრცითი წარმოსახვისათვის, სახაზავი და საზომი ინსტრუმენტები, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი; კურიკულუმებში ასახულია ცხოვრებისეული პრობლემების ოპტიმალური გადაწყვეტის მეთოდების შესწავლა. მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად იგეგმება კლასგარეშე აქტივობები- კლუბური და საწრეო მუშაობები.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას.
ტექნოლოგიები	კურიკულუმი წარმოდგენილია იმგვარად, რომ გაითვალისწინოს სწორად დაგეგმოს მოსწავლის განვითარება და წინსვლა.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასის) კურიკულუმებში მრავლად არის განსაზღვრული ისეთი აქტივობები და თვალსაჩინოებები, რაც განაპირობებს კეთებით და თამაშით სწავლებას.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები, რომლებიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. თუმცა ზოგგან აცდენაა.

	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ზოგან გვხვდება ძირითადი კონტექსტ - მაგალითი, მაგალითები შედარებისთვის და კომპლექსური დავალების იდეა. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ შემოქმედებითი დავალებისა და კომპლექსური ბუნების დავალებების მიმართება კონკრეტულ სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მიმართ, რაც უზრუნველყოფს გრძელვადიან მიზნების განხორციელებას. კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მათ დაგეგმეს ისეთი აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებისთვის ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა) განვითარებაზე. ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ასევე ნათელი გახდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებას (დიფერენცირებულ მიდგომას) და თითოეულ მოსწავლეს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს, მზად არიან ინკლუზიური სწავლების განხორციელებისათვის. თუმცა ამჟამად სსსმ მოსწვალე არ ჰყავთ. აქვთ შემუშავებული და დამტკიცებული ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, მნიშვნელოვანია სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი, სამიზნე ცნებების საშუალებით; წარმოდგენილ კურიკულუმებში განსაზღვრულია სავალდებულო საგნობრივი მოთხოვნები. ეროვნული სასწავლო გეგმის საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად (საფეხურის მიხედვით).
უცხოური ენები	უცხოური ენების მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. შესაბამისად, წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო /გეგმა

	მიემართება საგნობრივი სტანდარტის მისაღწევი შედეგების მიღწევისკენ, ასევე შემოქმედებითი დავალებების პირობები, საკითხები, რესურსები, დამატებითი რესურსები ხელს შეუწყობს/უზრუნველყოფს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, მოქალაქეობა, ნებელობა.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური საგნების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. არსებული შემოქმედებითი დავალებების უმეტესი ნაწილი დაფუძნებულია სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ან სამინისტროს მიერ შემუშავებულ შემოქმედებით დავლებებზე და ეფუძნება სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, რაც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად აგებულია შემოქმედებით დავალებებზე, დეკლარატიული ცოდნის შემოწმება კი ხდება შემაჯამებელი და სადიაგნოსტიკო ტესტების საშუალებით. პედაგოგებისა და სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, შემოქმედებით დავალებებზე დაფუძნებულმა კურიკულუმმა აამაღლა მოსწავლეთა მოტივაცია და ინტერესი საგნისადმი, რაც ხელს უწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმში შერჩეული საკითხები დაფუძნებულია მოსწავლეებისთვის ნაცნობი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, „საყვარელი ზღაპრის გმირები“, „წელიწადის დროები“, (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, დაწყებითი საფეხური), „ჩემი ცხოვრების ერთი დღე“, „მუსიკა კოპიუტერულ თამაშებში“ (მუსიკა, დაწყებითი საფეხური). საბაზო საფეხურზე მოსწავლეებმა შექმნეს პლაკატები აქტუალურ თემებზე (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება), იმსჯელეს, თუ როგორ გადმოიცემა მუსიკით სიყვარული და სიძულვილი (მუსიკა), საშუალო საფეხურზე შექმნეს პროექტები „ქართველი მხატვრები“ (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება), ქართველი მუსიკოსები (მუსიკა). პედაგოგების თქმით, ყოველივე ამან ხელი შეუწყო მოსწავლეთა დაინტერესებასა და ჩართულობას, რამაც მათ საშუალება მისცათ მოსწავლეები საგნობრივი სტანდარტის შედეგებამდე მიეყვანათ.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები და შერჩეული შემოქმედებითი დავალებები პირდაპირ კორელაციაშია მათთან.

	გამოიკვეთა, რომ პედაგოგები ცდილობენ, სწავლების პროცესი დაგეგმონ და წარმართონ მაქსიმალურად სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით.
მათემატიკა	მათემატიკაში საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტესტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას.
სპორტი	სამივე საფეხურზე კურიკულუმი შექმნილია ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით, ითვალისწინებს საგნის მიზნებს, შედეგებსა და საგნის სამიზნე ცნებებს.
ტექნოლოგიები	კურიკულუმი მოიცავს ესგ-ით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასის) კურიკულუმები ფარავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღრულ თემებსა და სამიზნე ცნებებს.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი ძირითადად უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. რიგ კურიკულუმში ზოგიერთი ელექტრონული რესურსების ბმული არ იხსნება სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი და ისე დამხმარე რესურსი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დებულებაში - სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ, ასახულია ყველა ის საგანმანთლებლო რესურსი (გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, დამხმარე ლიტერატურა, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.), რომლის საშუალებით ხდება კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი დავალების შესრულება. დებულებაში და კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები თანხვედრაშია.

უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები სრულად უწყობს ხელს მოსწავლეთა აქტიური და შედეგზე ორიენტირებული სწავლების უზრუნველყოფას. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები და შემოქმედებითი დავალებების მაგალითები, შერჩეული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლის მიერ სასწავლო მიზნების მიღწევას. კურიკულუმში გათვალისწინებულია ავთენტური, მოსწავლის გამოცდილებაზე დაფუძნებული კონტექსტები და მასალები, რაც ახდენს ცოდნის აქტუალიზაციას და უზრუნველყოფს მის ეფექტურ შეძენას. რესურსების შერჩევა და გამოყენება ეფუძნება მოსწავლეთა საჭიროებებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და ინტერესებს.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური მიმართულების საგნებში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს: სახელმძღვანელოებს, სამინისტროს მიერ შემუშავებულ მასალებს, ტელესკოლის ჩანაწერებს. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისთვის შერჩეული ძირითადი და დამხმარე რესურსები ერთმანეთთან შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმში მითითებული ძირითადი და დამატებითი კონტექსტმაგალითების საშუალებით სესაძლებელია, მოსწავლეს დავეხმაროთ კონკრეტული შედეგების მიღწევაში, თუმცა სასურველია, განსაკუთრებით საშუალო საფეხურზე, რომ შერჩეული რესურსები კიდევ უფრო გამდიდრდეს სხვადასხვა მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტებით.
მათემატიკა	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი.
სპორტი	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესების დაგეგმისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომლის განხორციელებასაც შეძლებენ არსებული მატერიალური რესურსით. ელექტრონულ რესურსად წარმოდგენილი იყო ასევე შესაბამისი გზამკვლევები სახეობების მიხედვით, შექმნილი ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით.

ტექნოლოგიები	კურიკულუმებში ითითებული რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასის) კურიკულუმებში მითითებული რესურსები, მათ შორის ელექტრონული ბმულები, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებას (დიფერენცირებულ მიდგომას) და თითოეულ მოსწავლეს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური დავალებისა და პროდუქტის შესაქმნელად. ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მასწავლებლები ახორციელებენ ინკლუზიურ სწავლებას და საჭიროებისამებრ მზად არიან მოსწავლეებს შესაბამისი სერვისი და პროგრამა შეთავაზონ (ისგ) .
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარამოდგენილი დოკუმენტებიდან (რემედიაციის პროგრამა, ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი, შინსწავლება, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე პროფესიული განათლების ინტეგრირების პროგრამა) ჩანს, რომ გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და პოტენციალი.
უცხოური ენები	მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოში არ ჩანს დიფერენცირებული მიდგომა, ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებული სწავლების საკუთარ გამოცდილებაზე და მეთოდებზე, აგრეთვე დეფერენცირების მნიშვნელობაზე, დავალებების, შინაარსის, პროდუქტის დიფერენცირების სტრატეგიებზე და წარმოადგინეს ნიმუშები საკუთარი პრაქტიკიდან, რაც უმეტესწილად აკმაყოფილებს ამ კომპონენტს.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი კურიკულუმები სხვადასხვა უნარებისა და ინტერესების მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში ჩართვის საშუალებას იძლევა. კურიკულუმში ასახული თემები და შემოქმედებითი დავალებები მოსწავლეთათვის ნაცნობ კონტექსტს ემყარება, გათვალისწინებულია

	მოსწავლეთა ასაკი და ინტერესები. ყოველივე ეს ეხმარება მოსწავლეებს შიანგანი ძალების გააქტიურებაში, ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სწავლის პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლას ამჟამად არ ჰყავს სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეები და ამიტომ, ინკლუზიური სწავლება არ არის გათვალისწინებული კურიკულუმებში, თუმცა სკოლას შემუშავებული აქვს ზოგადი მიდგომები ინკლუზიური სწავლებისათვის. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში ბევრი მოსწავლე ძალიან კარგად ხატავს, შესანიშნავად მღერის და ცეეკვავს. ამიტომ, კათედრა ხშირად აწყობს ისეთ ღონისძიებებს, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ თვითგამოხატვა ხატვის, ძერწვის, ცეკვისა და სიმღერის საშუალებით. ამგვარი აქტივობა განხორციელდა 26 მაისსაც, როდესაც სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნაში. ასეთი მიდგომები აძლიერებს მოსწავლეთა ინტერესს ესთეტიკური საგნების მიმართ, ზრდის მართ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს სასწავლო მიზნების მიღწევას.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ მასალებში ჩანს, რომ სკოლა იცნობს ინკლუზიური განათლებისა და დიფერენცირებული სწავლების ზოგად პრინციპებს, პედაგოგებს ესმით დიფერენცირებული მიდგომის ძირითადი არსი და იციან დავალებების მოდიფიცირების სტრატეგიები. სასურველია, რომ როგორც დაწყებითი, ისე საბაზო საფეხურისთვის, დიფერენცირებული სწავლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, შემუშავდეს დავალებათა მენიუ სხვადასხვა სირთულის სავარჯიშოებით და, ასევე, შეთავაზებული იყოს იმ ტიპის კომპლექსური ხასიათის დავალებები, რომლებზე მუშაობაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს საბოლოო პროდუქტი წარმოადგინონ მათთვის ხელსაყრელი, შესაძლებელი ფორმით (მაგ.: ზოგი დაწერს, ზოგი ციფრული ტექნიკით ააწყობს, ზოგიც - ზეპირად წარმოადგენს ან სხვ.).
მათემატიკა	მათემატიკის სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებული/ინკლუზიური სწავლების მიდგომებს. მასწავლებლები ცდილობენ გამოკვეთონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები, ამის გათვალისწინებით ნერგავენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სკოლის დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ამ მიმართულებით

	სკოლაში დაიგეგმა და განხორციელდა დიფერენცირებულ მიდგომაზე ორიენტირებული გაკვეთილების ციკლი, რომელიც განხორციელდა დაწყებით კლასებში. მათი კურიკულუმები იძლევა მოდიფიცირების საშუალებას მასში გათვალისწინებული რესურსების და სასწავლო საკითხების მიხედვით. მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავისი უნარის, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღწერილი მრავალფეროვანი აქტივობები ასევე იძლევა დიფერენცირების საშუალებას.
სპორტი	სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები, რაც გამოიხატება მრავალფეროვანი, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით და საჭირო რესურსებით.
ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმის ინკლუზიურობას და სასწავლო რესურსების მრავალფეროვნებას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურზე (I-IV კლასში) არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც სჭირდებათ აკადემიური უნარების გაუმჯობესება.

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ბიოლოგია და ფიზიკა) მიმართულების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის მიერ 2024-2025 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. სასწავლო წელს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ბიოლოგია და ფიზიკა) მიმართულების პედაგოგებს შექმნილი აქვთ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ქიმიის XII კლასის პირველი და მეორე სავალდებულო თემისთვის; განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ბიოლოგიის IX პირველი სავალდებულო თემისათვის, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ბიოლოგიის VIII პირველი სავალდებულო თემისათვის.

	გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების პედაგოგების მიერ განხორციელდება განმსაზღვრელი რუბრიკის შექმნა საშუალო საფეხურის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შესასწავლი ყველა თემისთვის.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პირვანდელ დოკუმენტებში წარმოდგენილი იყო შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომელიც შესაბამისობაში არ იყო ეროვნულ სასწავლი გეგმასთან (რუბრიკები არ იყო მიმართული კურიკულუმში გაწერილ დავალებაზე, არ ჩანდა რომელი სამიზნე ცნება მუშავდებოდა); შეხვედრის შემდეგ გადმოგზავნილი განმსაზღვრელი და განმავთარებელი შეფასების რუბრიკები ჩასწორებულია და შესაბამისობაში მოდის ესგ-თან.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრას აქვს გამოცდილება ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავების და გამოყენების თვალსაზრისით, რაც გამოიკვეთა წარმოდგენილი ნიმუშების და გასაუბრების დროს. უცხოური ენების მასწავლებლებს აქვთ მზაობა აწარმოონ შეფასება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. როგორც ინტერვიუს პროცესში დადგინდა, მომდევნო სემესტრში უცხოური ენების კათედრა კიდევ უფრო დახვეწავს კურიკულუმებს და შეიმუშავებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასების სქემებს კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებებისთვის.
ესთეტიკური აღზრდა	კათედრის მიერ შემუშავებულია შემოქმედებითი დავალებების და შემაჯამებელი ტესტების, ასევე პროექტების შეფასების სქემები. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებების ნიმუშები. შეფასების რუბრიკების ნაწილი ემყარება სამიზნე ცნებებს, ნაწილი კი უფრო ზოგადი ხასიათისაა (ეს უკანასკნელი შეფასება განსაკუთრებით ეხება პროექტული სწავლების შეფასების რუბრიკებს).
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ მასალებში ჩანს, რომ სკოლა იცნობს ინკლუზიური განათლებისა და დიფერენცირებული სწავლების ზოგად პრინციპებს, პედაგოგებს ესმით დიფერენცირებული მიდგომის ძირითადი არსი და იციან დავალებების მოდიფიცირების სტრატეგიები. სასურველია, რომ როგორც დაწყებითი, ისე საბაზო საფეხურისთვის, დიფერენცირებული სწავლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, შემუშავდეს დავალებათა მენიუ სხვადასხვა სირთულის

	სავარჯიშოებით და, ასევე, შეთავაზებული იყოს იმ ტიპის კომპლექსური ხასიათის დავალებები, რომლებზე მუშაობაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს საბოლოო პროდუქტი წარმოადგინონ მათთვის ხელსაყრელი, შესაძლებელი ფორმით (მაგ.: ზოგი დაწერს, ზოგი ციფრული ტექნიკით ააწყობს, ზოგიც - ზეპირად წარმოადგენს ან სხვ.)
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმებში მითითებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ორიენტირებულია ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებზე, ემსახურება მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას და მათ განვითარებაზეა ორიენტირებული.
სპორტი	ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისთვის წარმოდგენილი აქვთ როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები, ასევე კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კარგადაა გამოკვეთილი კონკრეტული შეფასების ინდიკატორებით, რომელ მკვიდრ წარმოდგენებს ეუფლება მოსწავლე. სკოლამ ასევე წარმოადგინა სადიაგნოსტიკო შეფასების რუბრიკაც, რომლის გამოყენებასაც კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან.
ტექნოლოგიები	შეფასების მეთოდები შესაბამისობაშია ესგ მიზნებთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასში) ძირითადად გამოყენებული იყო შეფასების რუბრიკები მაგ. წყვილებში მუშაობის, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის და ა.შ. რომლებიც ეფუძნებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებსა და მიზნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის სასკოლი სასწავლო გეგმა
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის პედაგოგებთან გასაუბრება
სკოლის დირექტორის ბრძანება N20
სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების ამსახველი მასალები
სასკოლო პროექტების განხორციელების ამსახველი მასალები
რემედიაციის პროგრამა

ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე პროფესიული განათლების ინტეგრირების პროგრამა
შეამაჯამებელი დავალებების ანალიზი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ინტერვიუზე დაყრდნობით სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლებს აქვთ ალტერნატიული აქტივობები, რომელთაც იყენებენ და ანაცვლებენ საჭიროების შემთხვევაში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასების რუბრიკები; სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია მოსწავლის აკადემიური მიღწევის ზოგადი შეფასების სისტემა; ამავე დროს, მნიშვნელოვანია საბაზო და საშუალო საფეხურისთვის, მოსწავლეთა თვითრეფლექსიის ფორმის შემუშავება, რაც დაეხმარებოდათ მათ თვითრეფლექსიის განხორციელებაში, რომ პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარი სწავლა-სწავლების პროცესის შედეგებზე.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის სტრუქტურის, მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად და შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუს საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი საგნობრივი კურიკულუმებისა და სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოს სრული გათვალისწინებით არის დაგეგმილი. კათედრას გააზრებული აქვს თემატური დაგეგმვის მნიშვნელობა როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან პერსპექტივაში. თემების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ინტერესები, მზაობა და წინარე გამოცდილება. კურიკულუმში ასახული შუალედური მიზნები და აქტივობების შინაარსი სრულ შესაბამისობაშია სკოლის მიერ დადგენილ საგანმანათლებლო პრიორიტეტებთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შემოქმედებით დავალებებსა და პროექტებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც კიდევ უფრო ამყარებს კავშირებს სასკოლო კურიკულუმთან. დოკუმენტაციაში გამოკვეთილია, რომ დაგეგმილი აქტივობები ეხმიანება სკოლის ხედვას მოსწავლის მრავალმხრივი, ინდივიდუალური და აქტიური განვითარებისთვის.

ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და პედაგოგებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად და ესთეტიკის მიმართულების ორივე საგანში დამყარებულია შემოქმედებითი დავალებების განხორციელებაზე. პედაგოგებთან გასაუბრებისა და დოკუმენტების შესწავლით დგინდება, რომ კათედრაზე, მუშაობის პროცესში ხდება მოსწავლეთა ცოდნის მონიტორინგი სადიაგნოსტიკო და შემაჯამებელი ტესტების საშუალებით. ტესტირების შემდეგ პედაგოგები აანალიზებენ მიღებული შედეგებს და გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ახდენენ კურიკულუმის მოდიფიცირებას. აღნიშნულ პროცესებს აკონტროლებს სკოლაში დანერგილი კურიკულუმის მონიტორინგის მექანიზმები. სკოლაში ხშირად ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები. მაგალითად, მე-2 კლასში (მათემატიკა, ხელოვნება, ისტ-ი),მე-3 კლასში (ბუნებისმეტყველება,ხელოვნება), მე-4 კლასში (ინგლისური, ხელოვნება), მე-7 კლასში (ხელოვნება, მოქალაქეობა). ასეთი გაკვეთილები წარმოადგენს სკოლის პრაქტიკის ძლიერ მხარეს, რადგან ხელს უწყობს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა სამივე საფეხურზე ახორციელებს სახელმწიფო ენის სწავლებას სტანდარტების შესაბამისი კურიკულუმების მიხედვით, სწავლების პროცესი გეგმაზომიერი და მიზნების შესაბამისია.
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს 2024-2025 სასწავლო წლისათვის შემუშავებულ კურიკულუმებს, სასწავლო პროცესი წარიმართებოდა მოცემული კურიკულუმების შესაბამისად. კათედრა გეგმავს მათი გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში.
სპორტი	სასწავლო პროცესი შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა, სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და მათ მიერ მოწოდებული რეფლექსიების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით, რაც განაპირობებს სწავლების კონსტრუქციულობას.

ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილი და შემუშავებულია კათედრის დონეზე და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გასაუბრებისას მასწავლებლებმა დაასახელეს მაგალითები, სადაც ნათლად ჩანდა, რა მეთოდი გამოიყენეს კურიკულუმით განსაზღვრული კონკრეტული აქტივობის ჩატარებისას. ასევე დამატებითი დოკუმენტაციის გადმოგზავნისას, ვნახეთ ვიდეომასალაც, კონკრეტული ტექსტის მიხედვით შექმნილ აქტივობაზე, რითაც დასტურდება სასწავლო პროცესი რომ კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

ვიზიტის ფარგლებში, სკოლის პერსონალთან გამართული გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს საკმარისი კომპეტენცია მოქნილად რეაგირებდეს შემხვედრ საჭიროებებზე, რადგან მას შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და რესურსების განაწილების ადაპტირება კონკრეტული ვითარების შესაბამისად.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; თუმცა პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კლასში განმავითარებელი შეფასება ხორციელდება ზეპირი უკუკავშირის საშუალებით. სკოლაში დაწყებითი საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი (V და VI კლასები) 10 - ქულიანი შეფასების სისტემა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასების რუბრიკები; სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია მოსწავლის აკადემიური მიღწევის ზოგადი შეფასების სისტემა; ამავე დროს, მნიშვნელოვანია საბაზო და საშუალო საფეხურისთვის, მოსწავლეთა თვითრეფლექსიის ფორმის შემუშავება, რაც დაეხმარებოდათ მათ თვითრეფლექსიის

	განხორციელებაში, რომ პასუხისმგებლობა ააიღონ საკუთარი სწავლა-სწავლების პროცესის შედეგებზე.
უცხოური ენები	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს და უზრუნველყოფს ვალიდურობას, გამჭვირვალობასა და სანდოობას. შეფასება დაფუძნებულია მკაფიო კრიტერიუმებზე. გამოყენებულია როგორც განმავითარებელი, ისე განსაზღვრელი შეფასება, რაც უზრუნველყოფს ობიექტურ და სამართლიან შეფასებას.
ესთეტიკური აღზრდა	კათედრამ სწავლების ყველა საფეხურისთვის წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები შემოქმედებითი დავალებების, პროექტების, პრეზენტაციების, დისკუსიების, შემაჯამებელი და ტესტური დავალებებისთვის. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეთათვის ცნობილია და გამოკრულია საკლასო ოთახებში. სკოლაში შექმნილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები. კათედრის მიერ ნაჩვენები დოკუმენტების, სხდომის ოქმებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პედაგოგები ერთად გეგმავენ გაკვეთილებს, კათედრაზე მოქმედებს ურთიერთდაკვირვების ინსტიტუტი, ხარისხის ჯგუფი განსაზღვრავს მასწავლებელთა საჭიროებას და გასცემს უკუკავშირს. კათედრაზე ხდება წინა წლის შედეგების შეჯამება და ახალი კურიკულუმების შექმნა. შემოქმედებითი დავალებების შეფასება ხდება ცნებებზე ორიენტირებული კრიტერიუმების საშუალებით, მაგრამ შემაჯამებელი დავალებები შექმნილია და მოწმდება მოძველებული სისტემით, რომლის საშუალებითაც ძნელია იმის შემოწმება, თუ როგორ გაითავისეს მოსავლეებმა სამიზნე ცნებების როლი მოცემულ თემატურ კონტექსტში.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტებისა და დიაგნოსტიკური თუ შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის თანახმად, ჩანს, რომ სეფასების ყველა პრინციპი დაცულია. მეტი ვალიდურობისთვის კი, სასურველია, ცალკეული დავალებებისთვის შემუშავდეს კონკრეტული შეფასების რუბრიკები.
მათემატიკა	სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი. შეფასების კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას - რა შეუძლია და მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ფასდება მხოლოდ

	ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა.
სპორტი	პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე. დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასება შემოიფარგლებოდა ზეპირი კომენტარებით, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით.
ტექნოლოგიები	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის რუბრიკები, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების სისტემა დაწყებით საფეხურზე აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, დასკვნის ფორმა და ოქმი. სკოლის მიერ წარმოდგენილ ოქმში ასახულია მათემატიკის კათედრაზე ვერიფიკატორის არჩევა. სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა უზრუნველყოფს ობიექტურობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ვალიდურობის პრინციპების დაცვას.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლას აქვს საკმარისი ფიზიკური და ელექტრონული სივრცე მონაცემების შენახვისთვის. სკოლა მატერიალური სახით აწარმოებს სკოლის ჟურნალსა და მოსწავლის პირად საქმეებს, სადაც ასახულია ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ.
ავტორიზაციის ფარგლებში სკოლაში განხორციელებული ვიზიტისას დათვალიერდა სივრცეები, სადაც სკოლას დაარქივებული ჰქონდა სხვადასხვა დოკუმენტაცია.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის სასკოლი სასწავლო გეგმა
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის პედაგოგებთან გასაუბრება

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა
კათედრის სხდომის ოქმები
განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმები
მოსწავლის პორტფოლიო
სკოლის ჟურნალი

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი. არსებობს კათედრაზე რესურსების ჩამონათვალი. ამ ეტაპზე, როგორც ირკვევა, მასწავლებელები საკუთარი და მოსწავლეების მიერ შექმნილი მარტივი ხელსაწყოებით და რესურსებით სარგებლობენ ექსპერიმენტის გასაკეთებლად. რაც წარმოდგენილი ფოტო მასალიდან და ვიზიტზე მყოფი ჯგუფის ვიზუალური დათვალირებით არის ცნობილი. არსებული რესურსით მაგალითად მე-12 კლასის ქიმიის კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალების ექსპერიმენტის განხორციელება რთულია, თუმცა მისასალმებელია მასწავლებლის სურვილი და დაგეგმილი აქტივობა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი- სასწავლო რესურსებით სარგებლობის შესახებ; დოკუმენტის მიხედვით, სკოლა შეიმუშავებს და გააცნობს მოსწავლეებს არსებული სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის წესებს.
უცხოური ენები	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსი. მასწავლებლები იყენებენ

	სახელმძღვანელოებთან ერთად ავთენტურ მასალებს, ვიზუალურ, აუდიო და ციფრულ რესურსებს, რაც ასახულია თემატურ დაგეგმვაში და ემსახურება მოსწავლეთა ინტერესზე დაფუძნებულ, მრავალფეროვან და შედეგზე ორიენტირებულ სწავლებას.
ესთეტიკური აღზრდა	მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოჩნდა, რომ კათედრისთვის მნიშვნელოვანია რესურსების სწორად შერჩევა. სახელმძღვანელოების გარდა, მასწავლებლები ცდილობენ მრავალფეროვანი აუდიო-ვიზუალური მასალის გამოყენებას. მაგალითად, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში მოცემულია ტელესკოლის ბმულები, ორივე საგნის მასწავლებლები აქტიურად მიმართავენ სამინისტროს მიერ შექმნილ დამხმარე მასალას. ყოველივე ეს ხელს უწყობს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში მითითებულია მრავალფეროვანი და სასწავლო თემების რელევანტური სასწავლო რესურსები - ძირითადი და დამხმარე კონტექსტმაგალითების სახით, ხოლო კომპლექსური ხასიათის დავალებები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეებს უწევს ცალკეული რესურსების დამუშავების გზიტ საბოლოო პროდუქტის ერთგვარი გამთლიანება. სასურველია, რომ სამივე საფეხურზე დამხმარე რესურსების ნუსხა კიდევ უფრო გამდიდრდეს ციფრული რესურსებით.
მათემატიკა	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, გამართული ინტერნეტი. საკლასო ოთახებში განთავსებულია შესაბამისი მატერიალური რესურსი: კომპიუტერეი, პროექტორი, ცხრილები და სხვა.
სპორტი	გასაუბრების დროს კარგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან როგორც მატერიალურ ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ყველა რესურსი, თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორია და დამხმარე ტექნიკა.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში გამოყენებულია ძირითად რესურსად სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარედ, ძირითადად, ელექტრონული რესურსები, რომელსაც პროექტორის საშუალებით იყენებენ.

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	გრიფირებული სახელმძღვანელოები შერჩეულია კათედრის სხდომებზე და დამტკიცებულია სასკოლო გეგმით პედსაბჭოზე. კარგი იქნებოდა აღრიცხული იყოს ყველა დამხმარე რესურსი, მათ შორის, ელექტრონული რესურსები და მოხდეს ვალიდაცია შემუშავებული წესის მიხედვით.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო სკოლაში მოქმედებს კანონით დადგენილი ვადით; სკოლის პედაგოგიური საბჭო, ამტკიცებს გრიფმინიჭებულ და საგნობრივი კათედრების მიერ შერჩეულ სახელმძღვანელოთა და დამხმარე სახელმძღვანელოების იმ ნუსხას, რომლებსაც მასწავლებლები რეგულარულად გამოიყენებენ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. (დებულება- სასწავლო რესურსებით სარგებლობის შესახებ).
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას შესაბამისი კათედრებისა და ადმინისტრაციის ჩართულობით. რესურსები შეირჩევა ეროვნული სასწავლო გეგმის, საგნობრივი მიზნებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, რაც ზრდის მათი გამოყენების მიზნობრიობას და ეფექტიანობას.
ესთეტიკური აღზრდა	მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრის სხდომებზე ძირითადი რესურსის შერჩევასთან ერთად.
სახელმწიფო ენა	მიმდინარე ეტაპზე კურიკულუმებში წარმოდგენილი დამხმარე რესურსები შეძლებისდაგვარად ვალიდურია, როგორც პედაგოგებთან კომუნიკაციისას გამოიკვეთა, ისინი სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამის დამხმარე რესურსებს, სასურველია, რომ სახელმწიფო ენის კათედრაზე, კოლეგებთან თანამშრომლობის ფორმატში, აქტიურად განიხილებოდეს ზემოხსენებული სასწავლო რესურსები და ერთობლივი გაანალიზებისა და შეთანხმების შემდგომ მოხდეს მათი ასახვა საგნის კურიკულუმებში.
მათემატიკა	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად.

სპორტი	ფიზიკური აღზრდის და სპორტის რესურსები და სპორტული ინვენტარი მორგებულია გაწერილ კურიკულუმზე და სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნების განხორციელებას.
ტექნოლოგიები	დამხმარე სასწავლო რესურსები შესბამისობაშია მოთხოვნებთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლების მიერ გამოყენებული რესურსი გაზიარებულია თანამშრომლებში და მოწმდება დირექციის მიერ.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მიუხედავად იმისა, რომ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას პედაგოგები ცდილობენ ისარგებლონ ვირტუალური ლაბორატორიით, მოდელებით, მათ მიერ შექმნილი სხვა რესურსებით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის არ ქონის გამო სკოლა სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის ძირითად მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა და მოლოდინი, რომ ერთი სასწავლო წლის შემდეგ ექნება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრული ინვენტარი და აღჭურვილობა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიღწეულ იქნას.
უცხოური ენები	კურიკულუმში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლაში საკლასო სივრცე მოწყობილია უსაფრთხო და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული გარემოთი, დაცულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა,

	რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობას და მოსწავლის ინდივიდუალურ ჩართულობას.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ფოტომასალისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააჩნია საჭირო მატერიალური რესურსი, კერძოდ, სკოლაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი, ყველა კლასში არის პროექტორი და ეკრანი, პედაგოგებს საშუალება აქვთ ისარგებლონ კომპიუტერით, დინამიკებით. ყოველივე ეს უზრუნველყოფს წვდომას დამატებით საგანმანათლებლო რესურსებზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ესთეტიკური აღზრდის საგნებისათვის. აუდიო-ვიდეო აპარატურისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნაად უწყობს ხელს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებასა და ესგ-ს საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევას.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ სკოლაში ყველა მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომი ნებისმიერი მოსწავლისთვის და აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელების საქმეში.
მათემატიკა	სკოლას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად, რომელსაც პედაგოგები და მოსწავლეები საჭიროებისამებრ იყენებენ.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესის სრულყოფილია და შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ეფექტური სასწავლო პროცესის განხორციელებას და განსაზღვრული შედეგების მიღწევას. მატერიალური რესურსები სრულად უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგის მიღწევას.
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი სწავლის შედეგების მისაღწევად.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლები სწავლის შედეგების მისაღწევად იყენებენ მატერიალურ რესურსებს, განსაკუთრებით, დაწყებით საფეხურზე.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსის ნაწილი, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის ეფექტიან განხორციელებას. მასწავლებლები და სხვა თანამშრომლების ძირითადი ნაწილი აკმაყოფილებენ კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და

სერტიფიცირების მოთხოვნებს, რაც აუცილებელია სასწავლო პროცესის ხარისხიანად დასაგეგმად და ჩასატარებლად. ფიზიკის, მისიკის, ისტორიის, და ფიზიკური აღზრდის პედაგოგები არ ფლობენ უფროსი მასწავლებლის სტატუსს, რის საფუძველზეც, კათედრის წარმომადგენელთა განმარტებით, დასაქმებული არიან დროებითი კონტრაქტით. საავტორიზაციო განაცხადით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ასევე, ვიზიტის ფარგლებშიც დადასტურდა, რომ დაწესებულება მოტივირებულია, აიყვანოს მასწავლებლები კანონმნდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (რასაც ადასტურებს პოზიციაზე გამოცხადებული ვაკანსიებიც სხვადასხვა დროს). დაწესებულება სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით თავს აფასებს როგორც მეტწილად შესაბამისს. **<u>ამასთან, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადა აღემატება 12 თვეს, რის გამოც დაწესებულება სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის სასკოლი სასწავლო გეგმა
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის პედაგოგებსა და ადმინისტრაციასთან გასაუბრება
ელექტრონული სისტემის ბაზა - მასწავლებელთა ვაკანსიები
დებულება სასწავლო რესურსებით სარგებლობის შესახებ
დებულება დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ
ადამიანური მართვის პოლიტიკა
შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სასკოლო კურიკულუმის **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად,** რაშიც აქტიურად არიან ჩართული როგორც კათედრის ხელმძღვანელები, ისე სკოლის ადმინისტრაცია. კათედრის თავმჯდომარე პასუხისმგებელია პედაგოგებთან ერთად განსაზღვროს, რა ინსტრუმენტებით და ინტენსივობით შეაგროვონ მონაცემები მოსწავლეთა მიღწევებისა და სასწავლო პროცესის შესახებ, მოამზადოს მასალები და უზრუნველყოს სხდომებზე პრობლემური საკითხების განხილვა. შეგროვებული მონაცემები სკოლის დირექციასთან შეთანხმებით მუშავდება, რასაც მოჰყვება რეკომენდაციების შემუშავება, ინოვაციების დანერგვა და კურიკულუმის პერიოდული გაუმჯობესება. დირექცია, თავის მხრივ, კურირებს მთლიან პროცესს, ხელს უწყობს თანამშრომლობას, უზრუნველყოფს დოკუმენტირებას და ანგარიშგებას როგორც სკოლის შიგნით, ისე განათლების სამინისტროს მიმართულებით. აღნიშნული მექანიზმი იძლევა შესაძლებლობას, შეფასება და მონიტორინგი განხორციელდეს ერთიანი, შეთანხმებული და შედეგზე ორიენტირებული მიდგომით. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მონიტორინგი და შეფასება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებაში, რადგან სწორედ ამ ეტაპზე იკვეთება სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზები და გამოწვევები, რაც სკოლას საშუალებას აძლევს დაგეგმოს შესაბამისი ნაბიჯები პრობლემების გადასაჭრელად. მონაცემების შეგროვება და ანალიზი კათედრისა და სკოლის დირექციის თანამშრომლობით ხორციელდება და ემყარება წინასწარ შეთანხმებულ ინსტრუმენტებს. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ფორმირდება

რეკომენდაციები, რომლებიც ასახავს მოსწავლეთა ჩართულობის, აკადემიური შედეგების, მშობელთა თანამონაწილეობისა და პროფესიული განვითარების მიმართულებით არსებულ საჭიროებებს. საბოლოოდ, ეს პროცესები განაპირობებს მომავალ სასწავლო წელს ისეთი კურიკულუმის ჩამოყალიბებას, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მიზნობრივ, შედეგზე ორიენტირებულ სწავლებას.
სკოლას წამოდგენილი აქვს კათედრის ოქმები, ურთიერთდასწრების ფორმები, საიდანაც იკვეთება, რომ სკოლაში არსებობს თანამშრომლობითი გარემო, რაც ეხმარებათ პრობლემის გადაჭრასა და დაძლევაში. გამომდინარე იქიდა, რომ ავტორიზაციის პროცესისთვის არ დასრულებულა სასწავლო წელი, სკოლის წარომადგენლებმა განმარტეს, რომ სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის წევრების, ხარისხის მართვის მენეჯერისა და სხვა პასუხისმგებელი პირების ჩართულობით შეფასდება კურიკულუმების დანერგვის ეფექტიანობა და მომზადდება რეკომენდაციები საგნობრივი კათედრებისთვის. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რადგან აღნიშნული პროცესის მიზანია სწავლა-სწავლების პროცესში მონაწილე ყველა მხარის საჭიროებების დროული იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირება. მონაცემების შეგროვება, ანალიზი და განხილვა კათედრისა და დირექციის ერთობლივი თანამშრომლობით იძლევა საშუალებას, კონკრეტული გამოწვევების შესაბამისად დაიგეგმოს პედაგოგების პროფესიული განვითარება, გაუმჯობესდეს მოსწავლეთა ჩართულობა და მიღწევები, გაძლიერდეს მშობლებთან კომუნიკაცია და მართვის პროცესები. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის დირექტორის ბრძანება N16
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის სასკოლი სასწავლო გეგმა
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის პედაგოგებთან გასაუბრება
სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი
კათედრის ოქმები
ურთიერთდასწრების ფორმები
ხარისხის მართვის მექანიზმი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სასკოლო კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმის საფუძველზე, შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სიღრმისეულ და ობიექტურ ანალიზს. სკოლაში შემქნილი კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის მიერ შემუშავდა კურიკულუმის დიაგნოსტირებისა და გადამუშავების ანგარიშის ფორმები. გარდა ამისა, მონაცემები გროვდება მასწავლებლების, კათედრის ხელმძღვანელების, დირექციისა და მშობლების მონაწილეობით, დაკვირვების, თვითშეფასების/რეფლექსიის და კოლეგის/კრიტიკული მეგობრის უკუკავშირის საფუძველზე, ისე მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებით, თემატური მატრიცების და კათედრის სხდომებზე გაზიარებული გამოცდილებით. ეს მრავალმხრივი მიდგომა იძლევა შესაძლებლობას, შეფასებამ ასახოს არა მხოლოდ სასწავლო შედეგები, არამედ პედაგოგიური პრაქტიკის ეფექტურობა, მოსწავლეთა ჩართულობა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების ხარისხი. როგორც უკვე აღნიშნა კურიკულუმების ეფექტიანობის შეფასება დაგეგმილია 2024-2025 სასწავლო წლის დასასრულს. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რადგან არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური მიღწევების ანალიზით. შეფასების პროცესში სკოლა ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს: მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს, მასწავლებლის პროფესიულ საჭიროებებს, კათედრათა შორის თანამშრომლობის ხარისხს, მშობელთა ჩართულობის დონეს და სასკოლო მმართველობით პროცესებს. ამგვარი მიდგომა შესძლებლობას იძლევა სკოლამ შეისწავლოს, როგორ მოქმედებს თითოეული კონტექსტი სასწავლების ხარისხზე. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიზუსტესა და სიღრმისეულობას. მონაცემები იკრიბება როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი გზებით: გამოიყენება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, დაკვირვება, თემატური მატრიცები, პედაგოგის თვითრეფლექსია, კათედრის სხდომებზე განხილული საკითხები, უკუკავშირი

მშობლებისა და მოსწავლეებისგან. ეს საშუალებას აძლევს სკოლას, შეაფასოს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობა სხვადასხვა რაკურსით და გამოავლინოს გასაუმჯობესებელი მიმართულებები. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოუმენტაციისა და სკოლის პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სწავლისა და სწავლების პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, რაც განაპირობებს მის მრავალმხრივობასა და ობიექტურობას. სკოლას გეგმავს 2024-2025 სასწავლო წელი შეაფასოს კომპლექსურად, შემდეგი ფაქტორებების გათვალისწინებით: სასწავლო მიზნების მიღწევის დონე, სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების ეფექტიანობა, მოსწავლეთა აკადემიური წინსვლა, მოტივაცია, სწავლების პროცესში ჩართულობა, ასევე მასწავლებელთა პროფესიული საჭროებების განსაზღვრა. ამგვარი მიდგომა სკოლას საშუალებას მისცემს, გააანალიზოს მიღწეული პროგრესი, დაადგინოს გამოწვევები და დაგეგმოს განვითარებაზე ორიენტირებული ნაბიჯები. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის სასკოლი სასწავლო გეგმა
კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია
სადამრიგებლო პროგრამა
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის პედაგოგებთან გასაუბრება
სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
სკოლის სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
სკოლის დირექტორის ბრძანება N11, N20
კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის სამოქმედო გეგმა
პედაგოგიური საბჭოს ოქმი N4
კურიკულუმის მონიტორინგის ფორმა
კურიკულუმის გადამუშავების ანგარიშის ფორმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სარეკომენდაციო პაკეტი, რომელი მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის განვითარებისთვის არის მნიშვნელოვანი შემუშავდება სასწავლო წლის ბოლოს, როგორც ეს შეხვედრაზე აღინიშნა. კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი დაეფუძნება სწავლა-სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. რეკომენდაციები დამუშავდება სხვადასხვა პასუხისმგებელი პირისა და სტრუქტურის ჩართულობით, რაც ხელს შეუწყობს კოორდინირებულ და ეფექტიან მიდგომას კურიკულუმის სრულყოფისთვის. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კერძოდ კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგიაში თანმიმდებრულად არის გაწერილი ყველა ის ნაბიჯი, რაც ითვალისწინებს კურიკულუმის შესრულების მონიტორინგს, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს განხორციელდება.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმეტაციების შესწავლით დგინდება, რომ პირველი სემესტრის შემაჯამებეს შეხვედრებზე კათედრებმა იმსჯელეს როგორც მიღწევებზე, ისე გამოწვევებზე. ძირითადი რეკომენდაცია, რომელიც მათ მიერ იქნა შემუშავებული სწავლების პროცესში თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების ზრდას შეეხებოდა. როგორც პედაგოგებმა განმარტეს, აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით მათ გაზარდეს საგაკვეთილო პროცესში კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებებისა და ელექტრონული რესურსების გამოყენება. ამგვარი გამოცდილება ადასტურებს, რომ კურიკულუმის გადამუშავების პროცესში სკოლა უტყუარად გამოიყენებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. <u>**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის სასკოლი სასწავლო გეგმა

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის პედაგოგებთან გასაუბრება

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

სკოლის დირექტორის ბრძანება N11, N20

კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის სამოქმედო გეგმა

პედაგოგიური საბჭოს ოქმი N4

კურიკულუმის მონიტორინგის ფორმა

კურიკულუმის გადამუშავების ანგარიშის ფორმა

დიაგნოსტიკური წერის ანალიზი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის გეგმა და თანდართული მტკიცებულებები

თარიღი: 17.07.2025 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თათული მგელაძე	**ხარისხის ექსპერტი**	
მანანა სამხარაძე	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**	
ნინო გულმაგარაშვილი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები**	
თინათინ ბეგიაშვილი	**უცხოური ენები**	
თამარ თავშავაძე	**ესთეტიკური აღზრდა**	

თემური კურცხალია	**ტექნოლოგიები**	
ლია ცერცვაძე - ცუცქირიძე	**სახელმწიფო ენა**	
ლალი აბულაძე	**მათემატიკა**	
სალომე ცხვედიანი	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური**	ს. ცხვედიანი
გიორგი ბერიძე	**სპორტი**	